საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიბებით ბეჭდის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 15 ნოემბერი. 2021 წ. №201 (9320) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

თუ მაგრები ხართ, მთელმა ნაცხროვამ იშიმშილეთ!..

ათი ოპოზიციონერი დეპუტატი მიხეილ სააკაშვილის სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანის მოთხოვნით შიმშილობს!

„ამ წუთიდან ვაცხადებთ შიმშილობას, ვიდრე მიხეილ სააკაშვილს არ გადაიყვანენ სამოქალაქო მულტიპროფილურ კლინიკაში, სადაც მის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს არ დაემუქრება საფრთხე. ამ ეტაპზე ეს არის ჩვენი ერთადერთი მოთხოვნა. ჩვენ მზად ვართ, ჩვენი შიმშილობა მივიყვანოთ ბოლომდე. ღრმად ვართ დარწმუნებულნი, ჩვენი ამ განცხადების შემდეგ, პარლამენტის არაერთი წევრი და ჩვენი მეგობარი, საქართველოს თუ ქვეყნის გარეთ, შემოგვიერთდება და შიმშილობა მიიღებს უფრო ფართო მასშტაბს“, — განაცხადა ხულიგანმა დავით კირკიტაძემ.

შიმშილობა გამოაცხადეს:

აკაკი მინაშვილმა; დავით კირკიტაძემ; ლევან ბეჟაშვილმა; თემურ ჯანაშიამ; ბაჩუკი ძარდავამ; ნიკა მაჭუტაძემ; აბდულა ისმაილოვმა, სულხან სიბაშვილმა; გიორგი გოდაბრელიძემ; გია ბარამიძემ.

მიხეილ სააკაშვილის სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანის მოთხოვნით 3 ნოემბრიდან შიმშილობს ელენე ხოშტარია, 13 ნოემბერს დაიწყო შიმშილობა „გირჩი-მეტი თავისუფლების“ ქუთაისის ოფისის წევრმა იმედა კლდიაშვილმა.

რედაქციისგან:

ათი კაცი აშკარად ცოტაა, ქუჩა-ქუჩა ხეტიალს აჯობებს მთელმა ნაციონალურმა მოძრაობამ მიბაძოს თავის ჰალსტუხიჭამია ამირსპასალარს და დაიწყოს შიმშილობა, ამით ბოროტების გზაზე ნაციონალები ერთადერთ სიკეთეს იქმან — კარგა ბლომად დაზოგავენ პროდუქტს, რაც გარკვეულ გაიაფებას გამოიწვევს და აუცილებლად წაადგება თქვენგან გაუბედურებულ სხვა მშიერ ადამიანებს...



მათრახი და თაფლაკვერი ანუ სტაფილო და ჯოხი!..

3

ევროკავშირში არც საქართველოს დაკარგვა უნდათ და თან იმ სიამოვნებაზე ვერ ამბობენ უარს, რომ თითი დაუქნიონ და ჭკუა ასწავლონ!

მართლაც, ვიომეთ!

ლობჟანიძისა და ტაბუცაძის ლელოები და რაგბის საზოგადებით მისაღები სხვაობა — 15:41.

ასეთია ბორდოში გუშინ გამართული ნოემბრის ტესტების პირველი შეხვედრისა და ღირსეულად გადატანილი ბრძოლის შედეგი „ბორჯღალოსანთა“ და „სამფეროვანთა“ შორის, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი დაესწრო საფრანგეთში მცხოვრებ თანამემამულეთა მრავალრიცხოვან დიასპორასთან ერთად.

20 ნოემბერს მადრიდში ფიჯის ნაკრებს შევერკინებით...

გრიგოლ ბრეგაძე:

ბატონო ნიკოლოზ, რისი შიშით 6 უნდა ვიყო შეპყრობილი?!

დავით ზარდიაშვილი: ჩვენ ვაფინანსებთ პოლიტიკას, რომელიც გვანგრევს!..

4

ნაცმოძრაობის ფორმულა

საქართველო სახელმწიფოა!

ძართული პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა მართლმსაჯულების პოლიტიზების გამუდმებული მცდელობა, რომელშიც ოპოზიციის რადიკალურ ნაწილთან და მასთან დაკავშირებულ პარტიულ მედიასაშუალებებთან თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, სამწუხაროდ, ჩართული არიან რადიკალური ოპოზიციის უცხოელი ლობისტებიც, რომელთა ნაწილი პოლიტიკური სტატუსის მატარებელია. მართლმსაჯულების პოლიტიზების ყველაზე ნათელი გამოხატულება იყო მათი ძალისხმევის შედეგად 2020-21 წლებში სამი დამნაშავის – გიგი უგულავას, ნიკანორ მელიას და გიორგი რურუას განთავისუფლება. ყველა ხედავს, რომ დღეს ეს დამნაშავეები, მთავარ დამნაშავე მიხეილ სააკაშვილთან ერთად, ყველაზე აქტიურ როლს ასრულებენ პოლარიზაციაში, რომელიც ზიანს აყენებს ქართული სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესებს. ამ ყველაფერზე პირდაპირი პასუხისმგებლობა, რადიკალურ ოპოზიციასთან ერთად, ბუნებრივია, ყველა იმ პირსაც ეკისრება, რომელიც კრიმინალების განთავისუფლებას აქტიურად ითხოვდა.

ჩვენი უცხოელი პარტნიორების უდიდესი უმრავლესობა სათანადოდ აფასებს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და აქვს ობიექტური დამოკიდებულება, ერთი მხრივ, საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ქვეყნის ხელისუფლების, ხოლო, მეორე მხრივ, მიხეილ სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის მიმართ. მათი უმრავლესობა აღიარებს, რომ მიხეილ სააკაშვილი სამართლიანად იხდის მისთვის შეფარდებულ სასჯელს.

ხშირად მოგვისმენია გულწრფელი კრიტიკა და შენიშვნები მეგობრების მხრიდან. ამგვარი კრიტიკა ჩვენთვის ძალზე ღირებულია და ვაფასებთ. ჩვენ მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩვენს პარტნიორებს, საქართველოს ნამდვილ მეგობრებს, ხშირად შეუცვლიათ თავდაპირველი პოზიცია, რაც მათ გულწრფელობას ადასტურებს. თუმცა, არიან მცირერიცხოვანი უცხოელი პოლიტიკოსები, რომლებიც ჯიუტად არ ცვლიან პოზიციას და ნაციონალური მოძრაობის ლობისტობას ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე სწორხაზოვნად განაგრძობენ.

რადგან სააკაშვილის საკითხი, ამ თვალსაზრისით, დღეს ყველაზე აქტუალურია, ამ თემას შედარებით დეტალურად შევეხები. კერძოდ, პასუხი უნდა გაეცეს რამდენიმე მარტივ შეკითხვას:

როდესაც უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირი პარლამენტის წევრს უმძიმესი ფორმით ფიზიკურად უსწორდება და ახალგაზრდა კაცის მკვლელებს საკუთარი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გზით მფარველობს, უნდა მოიხადოს თუ არა მან ამ ქმედებებისთვის სასჯელი (ასეთია ორი ოფიციალური ბრალი, რომლის საფუძველზეც სააკაშვილს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა; ორივე საქმის შესახებ საქართველოში ყველამ ყველაფერი იცის; ამასთან, გირგვლიანის საქმეში სააკაშვილის ბრალეულობა სტრასბურგის სასამართლომაც დაადასტურა)! ამ კითხვაზე პასუხი მარტივია: თუ საქართველო სახელმწიფოა და სამართლის უზენაესობა მისთვის ღირებულია – კი.

როდესაც ამ დანაშაულთა გამო მსჯავრდებული პირი საქართველოს საზღვარს უკანონოდ კვეთს, უნდა მოხდეს თუ არა მისი მყისიერი დაპატიმრება? პასუხი ამ კითხვაზეც მარტივია: თუ საქართველო სახელმწიფოა და სამართლის უზენაესობა მისთვის ღირებულია – კი.

როდესაც მსჯავრდებული ყოველგვარი საფუძვლის გარეშე შიმშილობას იწყებს და განთავისუფლებას ითხოვს, უნდა დაუკმაყოფილდეს თუ არა მას მოთხოვნა? პასუხი აქაც მარტივია: თუ საქართველო სახელმწიფოა და სამართლის უზენაესობა მისთვის ღირებულია – არა.

როდესაც მსჯავრდებული სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანას იმისათვის ითხოვს, რომ ციხიდან გავიდეს და თანამზრახველებს მისი განთავისუფლების შანსი მიეცეთ, უნდა დაჰყვეს თუ არა ხელისუფლება მოთხოვნას? პასუხი მარტივია: თუ საქართველო სახელმწიფოა – არა.

როდესაც მსჯავრდებული უარს აცხადებს სასჯელაღსრულების ერთი დაწესებულებიდან მეორე, კლინიკით აღჭურვილ დაწესებულებაში გადაყვანაზე, უნდა გამოიყენოს თუ არა სახელმწიფომ იძულების პროპორციული ზომები მსჯავრდებულის გადასაყვანად? პასუხი ამ შემთხვევაშიც მარტივია: თუ საქართველო სახელმწიფოა – კი.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე:

დიახ, საქართველო სახელმწიფოა და კრიმინალმა სააკაშვილმა სრულად უნდა მოიხადოს კუთვნილი სასჯელი!

თუ საქართველო სახელმწიფოა, ხელისუფლებამ ექიმების, პაციენტების თუ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების უსაფრთხოება რისკის ქვეშ არ უნდა დააყენოს.

ბოლოს, როდესაც მსჯავრდებულის თანამზრახველები კატეგორიულად ითხოვენ მისი გადაყვანის ამსახველი კადრების გასაჯაროებას, მიუხედავად იმისა, რომ თავადვე იციან, რომ ეს კადრები არ იქნება სასიამოვნო სანახავი და როდესაც კადრების არგასაჯაროებაზე უამრავ სიცრუესა და სპეკულაციას აგებენ, უნდა გაუზიაროს თუ არა სახელმწიფომ საზოგადოებას სრული ინფორმაცია სიმართლის შესახებ?

პასუხი ამ კითხვაზეც მარტივია – თუ საქართველო სახელმწიფოა, რომელიც აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას იმაზე, რომ საზოგადოება არავის უნდა შეაყვანინოს შეცდომაში .

ასე რომ, ყველაფერი დღესავით ნათელია, თუ საქართველო სახელმწიფოა, მიხეილ სააკაშვილმა სრულად უნდა მოიხადოს კუთვნილი სასჯელი და მისი უსაფუძვლო მოთხოვნების გამო, ხელისუფლებამ ექიმების, პაციენტების თუ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების უსაფრთხოება რისკის ქვეშ არ უნდა დააყენოს.

სადაც არ არის სამართლიანობა, იქ არ არის მშვიდობა – საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ამ მარტივი ჭეშმარიტების საუკეთესო დასტურია. სადაც არ აღსრულდა სამართალი დამნაშავის მიმართ, პირდაპირი საფრთხე შეექმნა მშვიდობას და სტაბილურობას, რაც ძვეყნის შეუფერხებელი განვითარების აუცილებელი პირობაა. „ქართული ოცნება“ ამას აღარასოდეს დაუშვებს! სამართალი აღსრულდება ყველა იმ პირის მიმართ, რომელსაც დანაშაული აქვს ჩადენილი!

ერთ-ერთმა ევროპარლამენტარმა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის დიდი ხნის ლობისტია და ამ პოლიტიკურ ძალას იმ პერიოდშიც ლობირებდა, როდესაც სააკაშვილის რეჟიმი ადამიანებს კლავდა, აუპატიურებდა, ბიზნესს აყაჩაღებდა, დამოუკიდებელ მედიასაშუალებებს იტაცებდა და ქვეყნის ტერიტორიებს რუსეთს აბარებდა, მიხეილ სააკაშვილს პოლიტპატიმარი უწოდა. ასეთ ადამიანებს გვინდა დავუსვათ მარტივი კითხვა – ცნობენ თუ არა ისინი საქართველოს სახელმწიფოდ? და თუ ცნობენ – მიაჩნიათ თუ არა, რომ სამართლისა და კანონის უზენაესობა სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტია?

2012 წლიდან საქართველოში მართლმსაჯულებამ და, ზოგადად, სამართალდამცავმა სისტემამ ფუნდამენტური წინსვლა განიცადა. ამას ცხადყოფს როგორც ელემენტარული სტატისტიკა, ისე მაღალი რეპუტაციის მქონე საერთაშორისო ინსტიტუტების შეფასებები, მათ შორის Heritage Foundation-ის, „მსოფლიოს მართლმსაჯულების პროექტის“, „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“, მსოფლიო ბანკის რეიტინგები და სხვ. აღნიშნული რეიტინგები ადასტურებს, რომ საქართველო მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით, რეგიონში გამოკვეთილი ლიდერია და ათამდე ევროკავშირის წევრ სახელმწიფოსაც კი უსწრებს. სასამართლო სისტემა, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის რეპრესიული მანქანის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი იყო და რომელმაც 2004-12 წლებში უამრავი ადამიანის ღირსება, სიცოცხლე, ჯანმრთელობა და საკუთრება ხელყო, 2012 წლიდან რადიკალურად და თვისებრივად გარდაიქმნა და სამართლის სამსახურში ჩადგა.

ამ ფონზე ქართული მართლმსაჯულების დისკრედიტაციის ყველა მცდელობის უკან იკითხება ერთადერთი მიზანი – ეს არის კრიმინალების მფარველობა და მათთვის სასჯელის არიდება იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც წარსულში აქვთ ჩადენილი ან მომავალში აქვთ ჩასადენი. ამ მცდელობის მიმართ, რომლის უკანაც იგივე პარტიები, მედიასაშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და უცხოელი ლობისტები დგანან, ბუნებრივია, ჩვენ ლოიალური ვერ ვიქნებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკითხი დგას მარტივად – ან ეს ადამიანები აღიარებენ, რომ საქართველო არის სახელმწიფო და სახელმწიფოში კანონი უნდა კანონობდეს, ან ჩვენ მოგვიწევს, მათ ვუწოდოთ კრიმინალების მფარველები. მათ უნდა აჩვენონ, რომ არიან საქართველოს მეგობრები და არა სააკაშვილისა და მისი კრიმინალი თანაგუნდელების მეგობრები. თუ არ აღსრულდება სამართალი დამნაშავეთა მიმართ, განსაკუთრებით იმ კრიმინალების მიმართ, რომლებსაც დღესაც ძალაუფლების დაბრუნების ამბიცია ამოძრავებთ, საქართველო ვერასოდეს გამოვა პოლარიზაციის ჩაკეტილი წრიდან, ამას კი „ქართული ოცნება“ ვერ და არ დაუშვებს. მომავალში, როდესაც ჩვენი უცხოელი პარტნიორების ნაბიჯებს შევაფასებთ, ჩვენთვის სახელმძღვანელო სწორედ ამ წერილში ასახული მთავარი პრინციპი იქნება – ქართული სახელმწიფო ვერ ითანამშრომლებს იმ ადამიანებთან, რომლებიც კრიმინალების სასარგებლოდ პოლიტიკური მიკერძოების გამო, ამ სახელმწიფოს სახელმწიფოდ არ ცნობენ!

ლევან ნიკოლეიშვილი: არავის გაუკვირდება თუ მიშა უვადო პატიმრობაზეც გავა!..

ექსპერტი ლევან ნიკოლეიშვილი სოციალურ ქსელში სააკაშვილის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე წერს და აღნიშნავს, რომ არავის გაუკვირდება, თუ ბრალდებული პატიმარი უვადო პატიმრობაზეც გავა.

მისი თქმით, დღეს ძალიან ბევრი საუბრობს სააკაშვილის 6-წლიან სასჯელზე, მაგრამ ყველას ავიწყდება, რომ მასზე ჯერ კიდევ მიდის ორი სისხლის სამართლის საქმის განხილვა. აქედან ერთ-ერთ მათგანზე მას შესაძლოა 10-წლიანი პატიმრობა შეეფარდოს. მართალია, მოქმედი, უაღრესად ჰუმანური კანონებით შეკრებითობა გაუქმდა და მიმდინარე 6 წელს ის 10 გადაფარავს, მაგრამ, თუ იმ დანაშაულებს გავიხსენებთ, რაც ამ მტარვალს აქვს ჩადენილი, 6 წელი კი არა, არავის გაუკვირდება, თუ უვადო პატიმრობაზეც გავა ბრალდებული პატიმარი“...

გიორგი მამალაძე სამოქალაქო კლინიკაში კორონავირუსის გამო გადაიყვანეს

პენიტენციურ სამსახურში აცხადებენ, რომ მსჯავრდებული დეკანოზი გიორგი მამალაძე სამოქალაქო კლინიკაში კორონავირუსის დადასტურების გამო გადაიყვანეს.

„საზოგადოების და მედიის მაღალი ინტერესის გათვალისწინებით განვმარტავთ, რომ მსჯავრდებული გ.მ. მე-18 (სამკურნალო) დაწესებულებიდან კლინიკა „ვივამედშია“ გადაყვანილი. მას მიმდინარე წლის 13 ნოემბერს „კოვიდ-19“-ის დამახასიათებელი სიმპტომები გამოუვლინდა (რესპირატორული სიმპტომები, ტემპერატურის უმნიშვნელო მატება). მსჯავრდებულს ჩივილებიდან გამომდინარე ჩაუტარდა პისიარტესტირება და მას „კოვიდ-19“ დაუდასტურდა. მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია, თუმცა შემდგომი დაკვირვების მიზნით, კლინიკა „ვივამედში“ მოთავსდა და მედპერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება“, – ნათქვამია განცხადებაში.

პრეზიდენტი კავკასიური ენების და განსაკუთრებით აფხაზური ენის ქომაგია!

სალომე ზურაბიშვილმა იუნესკოს კავკასიური ენების საერთაშორისო დღის დაწესების მიმართ

საქართველოს პრეზიდენტმა საფრანგეთის რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო იუნესკოს 75 წლისთავისადმი მიძღვნილ ფორუმში, რომელზეც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პირველი პირები შეიკრიბნენ და მსოფლიოს თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავების მიმართულებით, ორგანიზაციის მნიშვნელობასა და როლზე ისაუბრეს.

„75 წელი გავიდა იუნესკოს დაფუძნებიდან, მას შემდეგ რაც ყველაფერი გაკეთდა, რომ ჩვენ დავახლოვებოდით ერთმანეთს და დაგვეცვა კაცობრიობის ყველა მემკვიდრეობა, რათა მშვიდობიან სამყაროში შეგვძლებოდა საკუთარი თავი მიგვეძღვნა იმ ყველაფრისთვის, რაც კაცობრიობის სიმდიდრეს ქმნის. ჩვენ კვლავ ახალი და უფრო და უფრო ძლიერი გამოწვევების წინაშე ვდგავართ. ჩვენი ერთობლივი კულტურული მემკვიდრეობა, აგრესიის ობიექტად რჩება, აგრესიისა, რომლის მიზანიც ერთნის ისტორიის, მეორენის იდენტობისა და ყველას კულტურის წაშლაა.

განათლებაზე წვდომა, ის სიკეთე, რომელიც ყველაზე მეტად უნდა იყოს გაზიარებული, არათანაბრად გადანაწილებულ უფლებად რჩება, იმ უფლებად, რომელიც დღესაც კი მრავალი ქალისა და ბავშვისათვის აკრძალულია.

დღეს ჩვენი პლანეტის სხვადასხვა ადგილზე არსებული კონფლიქტები, რომელთა გადაჭრაც გვსურს, არა მხოლოდ მონუმენტებს, არამედ კულტურას, ისტორიას და, რა თქმა უნდა, სოლიდარობას ანადგურებს. ავღანეთი, სირია, ეს ყველაზე აქტუალური ორი შემთხვევა რომ ვახსენოთ, მტკივნეული მაგალითებია იმ რეალობისა, რომლებიც არსებობას არ წყვეტენ“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

სალომე ზურაბიშვილის თქმით, საქართველო თავად არის ამ გამოწვევის წინაშე.

„აფხაზეთში, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ისევე, როგორც სამხრეთ ოსეთში, მრავალი შუასაუკუნეების ეკლესია, კათედრალი და მონასტერი განადგურების პირასაა და დამახინჯების წინაშე დგას. ეს მხოლოდ ერთ რამეს ემსახურება, წაშალოს საქართველოს კვალი ჩვენი ტერიტორიებიდან. ახლა ქართულ ენასა და ქართულ ენაზე განათლებაზე წვდომა აკრძალულია. არცერთი სკოლა აღარ ასწავლის ენას, ქართულენოვანი კლასები დაიხურა. დღეს საფრთხის ქვეშაა თავად აფხაზური ენა, კულტურულ უფლებებთან ერთად რეპრესირებულია ადამიანის უფლებები.

ყველა შემთხვევაში, ძალადობა ანადგურებს ინდივიდს, მის იდენტობას და საზოგადოებას. მნიშვნელოვანია, რომ იუნესკომ პასუხი გასცეს თანამედროვე დროის ამ გამოწვევებს, გარკვეულწილად თანამედროვე ხელსაწყოებითაც. შესაძლებელია იმაზე ფიქრი, რომ გაციფრულებას შეუძლია ხელი შეუწყოს იმის კონსერვაციას, რის გაქრობასაც ზოგიერთები ლამობენ, იმ მონუმენტების კონსერვაციას, რომლის გაქრობასაც აგრესორები ცდილობენ.

მსურს, ყურადღება შევაჩერო სხვა ძირითად გამოწვევაზე, რომელიც დღეს ჩვენი და ყველა საზოგადოების სიმსივნეა. ეს არის სიძულვილის ენა, რომელიც თავს ესხმის განათლებასა და ინტელექტს და გვიკრძალავს ერთმანეთის გაგებას. ეს არის ის, რაც ჩვენ გვყოფს და პოლარიზებას ახდენს – ეს სიძულვილის ენაა, რომელსაც თან ახლავს ცრუ, ფეიკინფორმაცია და რომელსაც სოციალური ქსელები ასე ხალისიანად ავრცელებენ. მას სურს დაყოფით, ფრაგმენტაციით და პოლარიზებით გაანადგუროს ის, რაც კაცობრიობის საერთო საფუძველია, სწორედ ის, რის კონსოლიდაციას და დაცვასაც ეს ორგანიზაცია ახდენს.

დოკუმენტი, რომელიც იუნესკომ ახლახან მიიღო, რათა გაუმკლავდეს სოციალურ ქსელში სიძულვილის ენის მოზღვავებას, პირველი და მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომელსაც მხარი უნდა დავუჭიროთ და გავაზიაროთ ყველამ ჩვენს ქვეყნებში. ჩვენ უნდა გავერთიანდეთ, რათა სიძულვილის ენაზე გავიმარჯვოთ. ჩვენ უნდა გავერთიანდეთ, რათა შევინარჩუნოთ ენები, რომლებიც ერთმანეთის გაგებაში გვეხმარებიან და რომლებიც თავად გაქრობის ობიექტები არიან.

დასასრულ, მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო კავკასიურ ენათა ოჯახზე, რომელიც ყველაზე პატარა ლინგვისტური ოჯახია ევრაზიის კონტინენტზე, თუმცა ათეულ ენას მოიცავს. აფხაზური ენა ერთ-ერთია იმ მრავალ ენათა შორის, რომლებიც კავკასიას უძველესი დროიდან წარმოაჩენდნენ და რომელსაც არაბები ენების მთას უწოდებდნენ. კავკასიური ოჯახის ენები, ყველა, ქართული ენის გარდა, გაქრობის საფრთხის წინაშე მდგომი ენების სიაშია. მსურს თქვენ და ამ ორგანიზაციას, მოგმართოთ ინიციატივით, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მოპყრობასა და მის ჩართულობას, რათა დაწესდეს კავკასიური ენების საერთაშორისო დღე. ჩვენ ეს ენები უნდა გადავარჩინოთ, ისევე, როგორც უნდა ავკრძალოთ სიძულვილის ენა“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მათრახი და თაფლაკვერი ანუ სტაფილო და ჯოხი!..

ევროკავშირში არც საქართველოს დაკარგვა უნდათ და თან იმ სიამოვნებაზე ვერ ამბობენ უარს, რომ თითი დაუქნიონ და ჭკუა ასწავლონ!

დასავლური მხარდაჭერის გარეშე დარჩენილ მიხეილ სააკაშვილს იმედი ჰქონდა, რომ ჯო ბაიდენის გამარჯვების შემთხვევაში, პოლიტიკური სიმპათია „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ შეიცვლებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა. ექს-პრეზიდენტი ევროპის და აშშ-ის მხარდაჭერის გარეშე დარჩა. **თუ არ ჩავთვლით ცალკეულ ევროპარლამენტარს, რომლებიც ანგარიშვალდებული არიან ყოფილ მმართველ პარტიასთან. ევროპარლამენტარების გარდა, არის რუსეთი, რომელიც არაოფიციალურად მაშველი რგოლის ფუნქციას ასრულებს სააკაშვილისთვის.**

ევროპარლამენტარი **ვიოლა ფონ კრამონი** „ტვიტერზე“ წერს, რომ სააკაშვილის საქმე სულ უფრო პოლიტიკური ხდება და „ქართული ოცნება“ უფრო და უფრო ემსგავსება წინა ხელისუფლებას.

„სააკაშვილმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს შიმშილობა, მიიღოს სათანადო სამედიცინო დახმარება და მიეცეს უფლება დაესწროს საკუთარ არაპოლიტიზებულ სასამართლო პროცესს. საქართველომ უნდა გადალახოს ეს არეულობა და დაიწყოს რეალური პრობლემების მოგვარება, როგორიცაა რუსული ოკუპაცია, სიღარიბე და დემოკრატიის უკუსვლა“, – წერს **ვიოლა ფონ კრამონი.**

ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეაზე, სადაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საკითხი განიხილეს, ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის მმართველი დირექტორი რუსეთის, აღმოსავლეთ პარტნიორობის, ცენტრალური აზიის, რეგიონული თანამშრომლობისა და ეუთოს საკითხებში მიხაელ ზიბერტმა აღნიშნა, რომ საქართველო მიემართება ისეთი მიმართულებით, სადაც გვაქვს განცდა, რომ ის სრულად აღარ მიჰყვება იმას, რაც იყო შეთანხმებული.

„ვიზიარებ გამოთქმულ წუხილს, რომ საქართველო მიემართება ისეთი მიმართულებით, სადაც გვაქვს განცდა, რომ ის სრულად აღარ მიჰყვება იმას, რაც იყო შეთანხმებული ასოცირების შეთანხმებით, რაც იყო, მაგალითად, 19 აპრილის შეთანხმების საფუძველი და ასევე მრავალწლიანი ფინანსური ჩარჩო-შეთანხმების პირობები. ჩვენ, როგორც ქალბატონმა კრამონმა თქვა, უნდა ვაჩვენოთ „მათრახი და თაფლაკვერი“, მათთან ძალიან მკაფიოები უნდა ვიყოთ.

რა არის სასამართლო სისტემის რეფორმის ბირთვი, რა არის გზა ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის ჩამოსაყალიბებლად, რაშიც ვიტყოდი, რომ ოპოზიცია ბევრი თვალსაზრისით ეხმარება, მაგრამ უდიდესი პასუხისმგებლობა მთავრობას ეკისრება, რომ სასამართლო რეფორმის განხორციელებას ხელი შეუწყოს. ამავდროულად უნდა ვიყოთ ფრთხილები, რომ არ გადავაჭარბოთ და „ბავშვი ნაბან წყალს არ გადავაყოლოთ“, რადგან არ გვსურს საქართველოს დაკარგვა ევროინტეგრაციის გზაზე“, – განაცხადა **მიხაელ ზიბერტმა.**

თავის მხრივ, ევროპარლამენტარმა, ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეაზე განაცხადა, რომ უკრაინა, მოლდოვა და საქართველო თანდათან კარგავენ ნდობას ევროკავშირის პოლიტიკის მიმართ და ეს სწორედ ის არის, რასაც კრემლი ელოდება. როგორც ევროპარლამენტარმა აღნიშნა, ევროკავშირის პოლიტიკას განახლება სჭირდება, ისევე როგორც სჭირდება გაფართოების პოლიტიკის სტაგნაციიდან გამოსავალი. მისი თქმით, ეს სტაგნაცია მოდის ევროკავშირის მოუმზადებლობისგან, რომ მიიღოს ახალი წევრები და არ არის დამოკიდებული მხოლოდ პარტნიორი ქვეყნების ევროპული რეფორმების პროგრესზე.

„აღარ არის საკმარისი ჩვენი პარტნიორი ქვეყნებისთვის, რომლებსაც ევროკავშირში ინტეგრაცია სურთ, იმის თქმა, რომ „განახორციელეთ რეფორმები და შემდეგ ვნახავთ“. წევრობის პერსპექტივაში სიცხადის ნაკლებობა ევროკავშირის მხრიდან ნიშნავს ერთ რამეს, ისეთი ქვეყნები, როგორიცაა უკრაინა, მოლდოვა, საქართველო თანდათან კარგავენ ნდობას ევროკავშირის პოლიტიკის მიმართ და ეს სწორედ ის არის, რასაც კრემლი ელოდება – დაიკარგოს ნდობა ხალხში. შესაძლოა, ამ ქვეყნებმა რეფორმების კეთების კუთხით მოტივაცია დაკარგონ, ეს კი, გარდაუვალად, მათ უფრო მეტ არასტაბილურობას მოუტანს. სწორედ ამის დასაწყისს ვხედავთ საქართველოში, რაც მე ძალიან მაშფოთებს. როგორც კი ძალა გადაწონის , მისი შემობრუნება რთული იქნება. ასე რომ, უნდა ვიმოქმედოთ ახლა“, – განაცხადა **რასა იუკნევიჩიენმა.**

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტის, პოლიტოლოგ **ირაკლი გოგავას** შეფასებით, ევროპარლამენტში ჩანს, რომ არ მოსწონთ საქართველოს მიერ „შარლ მიშელის შეთანხმებიდან“ გასვლა და ქართული სახელმწიფო, რომელიც უკანა ორ ფეხზე არ დგას და არ ასრულებს ევროპის ზოგიერთ დირექტივას, როგორიცაა დასანიშნ მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემოწმება და ცესკოში საარჩევნო დავების განსჯა უცხოელი ექსპერტების მიერ.

„ინგლისურში გამოთქმა **„მათრახი და თაფლაკვერი“** იწერება შემდეგნაირად - „Carrot and Stick“ ანუ „სტაფილო და ჯოხი“. ამ მეთოდით ცირკის და შინაურ ცხოველებს წვრთნიან. ვეძებე ვიოლას ეს გამონათქვამი და ინტერნეტში ვერ ვიპოვე. ვიპოვე ის, რომ იგივე ტერმინოლოგიას ვიოლა ფონ კრამონი იყენებს ბალკანელი ხალხების მიმართ. თუმცა, ბატონი ზიბერტი უსაფუძვლოდ არ იტყოდა, რადგან ის ესწრებოდა „ევრონესტის“ სხდომას.

საქართველოს საკითხის განხილვისას აქტიურობენ ძირითადად ბალტიისპირელი პარლამენტარები, რომელთაც თავი მოაქვთ, რომ უკეთ იციან პოსტსაბჭოთა სივრცე და ჩვენი რეგიონი. რეალურად კი მათ არ ესმით ჩვენი პრობლემები, ეთნოფსიქოლოგია და სხვადასხვა მენტალიტეტიც აშკარაა. ასევე ზოგიერთ მათგანს შესაძლოა ერჩივნოს, რომ საქართველო იყოს რუსეთთან ბრძოლის წინა ხაზზე, რათა რუსეთმა მათი ქვეყნებისთვის „არ მოიცალოს“, თავად კი რუსეთთან მრავალმილიარდიანი სავაჭრო ურთიერთობებით, უზარმაზარი ტვირთბრუნვით და საბანკო სისტემების მეშვეობით სიმდიდრეს აგროვებენ.

გერმანელი „მწვანე“ ვიოლა ფონ კრამონი როგორც, როგორც მისი ტერმინოლოგიიდან ჩანს, შინაური ცხოველებივით გვიყურებს და ბატონი ზიბერტის მიხედვით, ამას საჯარო შეხვედრებზე ამბობს. ვფიქრობ, ვიოლა ფონ კრამონის ასეთი შეურაცხმყოფელი განცხადება უპასუხოდ არ უნდა დარჩეს და დაახლოებით იგივე მეთოდებით იქნას პასუხგაცემული, როგორც ერდოღანმა უცხოეთის ელჩებს გაუკეთა და მეორე დღესვე მიიღო მათგან მონანიება და ბოდიში. დროა, გამოვიჩინოთ ფხა! სტაფილო და ჯოხი კი თავისთვის დაიტოვონ და მორიგეობით გამოიყენონ – ასე აჯობებს!

კუბილიუსი, პავილიონისი, კარიულანდი, ფოტიგა, ფონ კრამონი, გრეგოროვა და კიდევ რამდენიმე მესამეთანრიგოსანი ევროპელი პოლიტიკოსი ბულინგის გზით ურთიერთობს საქართველოსთან და ამით შეურაცხყოფას აყენებს მთელს ერს. ამგვარი პოლიტიკით, უფრო სწორად პოლიტიკის არძონით მიაღწიეს იმას, რომ თბილისის მთავარ გამზირზე ევროკავშირის დროს ორჯერ იძნა „ჩამოწეული“ რბილად რომ ვთქვათ“, – წერს სოციალურ ქსელში **ირაკლი გოგავა.**

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** იზიარებს მოსაზრებას, რომ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები გადასახედია და ის პირველ რიგში, ურთიერთპატივისცემას უნდა ეფუძნებოდეს და არა ფონ კრამონის „სტაფილოს და ჯოხის“ არაეთიკურ პოლიტიკას. პოლიტოლოგი გამორიცხავს, რომ საკაშვილის ჩამოსვლამ, დაკავებამ და შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს საქართველოს ასოციირების საკითხი.

როგორც პოლიტოლოგი აცხადებს, ევროპას თავისი დიდი პოლიტიკური ხარვეზი აქვს. დასავლეთის ყველაზე ძლიერმა ქვეყანამ აშშ-მა ვნახეთ რაც გააკეთა ავღანეთში, რადგან კურსი არ იყო განსაზღვრული. მისი თქმით, ევროპას ეს ხარვეზი აქვს გაცილებით ნაკლები მასშტაბის ინტერესების ქვეყანაში – საქართველოში.

„აქ მით უფრო არ არის შემუშავებული პოლიტიკური კურსი და არ უნდა ველოდოთ, რომ პოლიტიკური კურსი აღმოჩნდება დასავლეთში. ძალიან ნელა მიდის დასავლეთი მთლიანი კურსის შემუშავების კუთხით. 30 წელი გავიდა რუსეთთან კინკლაობაში და აქამდე ვერ უპოვა რუსეთს გასაღები, როგორ უნდა მართოს. აი, ამ დასავლეთის იმედი გვაქვს ჩვენ. ერთმნიშვნელოვანია, რომ სააკაშვილი აღიქმება როგორც რუსული ფიგურა, რომელიც რუსულ წისქვილზე უშვებს წყალს.

დავაკვირდეთ, რამდენი დრო დასჭირდა დასავლეთს იმისათვის, რომ სააკაშვილის რეალური სახე დაენახა და რამდენი ძალისხმევა მოგვიწია ჩვენ დაგვენახებინა, რომ სააკაშვილი არ არის დემოკრატიის შუქურა. ახლა, როცა დაინახეს, სააკაშვილი რუსეთის ინტერესებს ატარებს, შედარებით შეჩერდა მხარდაჭერა. ამიტომ, არ მაქვს იმედი, რომ დროულად იპოვიან სიტუაციიდან გამოსავალს. ანუ, დასავლეთის პოლიტიკის სწორად წარმოების იმედი არ მაქვს და ამიტომ ვთვლი, რომ სააკაშვილის თემა, ეს ჩვენი თემაა და ჩვენვე უნდა მოვუაროთ. თუმცა, დასავლეთს მაქსიმალურად უნდა გავაგებინოთ ჩვენი ქცევის მოტივები“, – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძემ.

თამთა ქარჩავა

დავით ზარდიაშვილი: ჩვენ ვაფინანსებთ პოლიტიკას, რომელიც გვანგრევს!..

არჩევნების შემდეგ ოპოზიციის გაუგებარი სვლების დასახასიათებლად თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოძრუაშვილმა ასეთი ტერმინი შემოგვთავაზა – „ოპოზიციის გრეჩიხიზაცია“.

რეალურად, ოპოზიცია დაბნეულია. ერთნი ამბოხებას და ხავერდოვან რევოლუციებს გვთავაზობენ, მეორენი ქუჩას არ გავეკარებითო, მესამენი პრობლემის გადასაჭრელად შარლ მიშელს ელოდებიან...

პარალელურად, პოლიტიკით განხიბვლის პერიოდი დაუდგათ ამ გაუგებრობაში შემოსულ ადამიანებს. შვილის ხათრით გაპოლიტიკოსებული ანზორ მელია „ამ ყაჩაღებთან ყოფნას“ არ აპირებს, ტოვებს პოლიტიკას და ექიმობას უბრუნდება. გამორიცხული არ არის, პოლიტიკას სხვა ძალებიც ჩამოსცილდნენ.

მიმდინარეობს თუ არა ოპოზიციაში გრეჩიხიზაცია?

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** for.ge-სთან საუბრისას ადასტურებს, რომ ასეთი პროცესები მართლაც მიმდინარეობს ოპოზიციაში, რადგან, უნდათ თუ არა, მაინც მოუწევთ მარცხთან შეგუება. ახლა ერთგვარი ინერცია კიდევ აქვთ შენარჩუნებული, გრძელდება საარჩევნო ციებცხელება, უარს ვერ ამბობენ თავიანთ ჟინზე, რომ წარმატება მოიპოვონ. დავით ზარდიაშვილის აზრით, ერთხანს ინერციით ეს პროცესი გაგრძელდება, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ საბოლოო შემაჯამებელი ოქმი როცა გამოქვეყნდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან, საკრებულოები როცა დაიწყებენ საქმიანობას, მერები შეუდგებიან ფუნქციების შესრულებას, არავითარი აზრი ქუჩის პროტესტს აღარ ექნება.

ანალიტიკოსის განმარტებით, რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ თავისთავად გაქრება „ნაციონალური მოძრაობა“, არც თავისთავად არ მოხდება მისი მარგინალიზაცია, რადგან ჩვენი ქვეყნის მთავარი პრობლემაა ამომრჩევლის 45%, რომელმაც „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მისცა ხმა. ამ ადამიანებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, საკუთარი ინტერესები წარადგინონ პოლიტიკაში, ოღონდ არა ექსტრემისტული პოლიტიკის მეშვეობით, რასაც ნაცები აკეთებენ, არამედ მათი ალტერნატივა უნდა შეიქმნას.

„გარკვეული ცვლილებები ამ თვალსაზრისით საჭირო, მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებებიცაა საჭირო, მაგალითად, მედიის შეზღუდვა იმ მიმართულებით, რომ პროფესიული ჟურნალისტიკა და პარტიული პროპაგანდა აუცილებლად გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. ეს იმდენად ნათელია, რომ ამაზე თვითონ ნაცებიც კი ლაპარაკობენ. სულ ახლახანს ისიც კი თქვეს, თურმე ეუთოოდირის შეფასება იმიტომაა პოზიტიური, რომ საქართველოში თავისუფალი ჟურნალისტიკაა და ისინი ვერ ბედავენ, არჩევნები უსამართლოდ გამოაცხადონო. ნაცები თვითონვე ამბობენ ამ ორმხრივ სისულელეს. ჯერ ერთი, არჩევნები არ გაყალბებულა და შეფასებაც ადეკვატური იყო ოდირის მხრიდან, მაგრამ ნაცები ოდირს სწამებენ იმას, რომ ჩვენთან ზელიბერალური ჟურნალისტიკაა, ის ვერ ბედავს არჩევნები უსამართლოდ გამოაცხადოს. ამას მოფიქრება ხომ უნდა? მთავარია, რომ ადამიანების 45%-ს, რომლებსაც არ სურთ ეს ხელისუფლება და მის წინააღმდეგ აძლევენ ხმას, რაიმე კონსტრუქციული შესაძლებლობები გააჩნდეთ პოლიტიკაში ჩართვისთვის და არა ექსტრემისტული ნაცების მეშვეობით“, – აღნიშნა დავით ზარდიაშვილმა.

მისივე განმარტებით, არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც გახარიათი, ხაზარაძით, ან რომელიმე სხვა ძალით ჩაანაცვლონ ნაცები, უბრალოდ, საჭიროა, შეიქმნას პოლიტიკაში მონაწილეობისა და ჩართულობის უფრო ქმედითი და ეფექტური მექანიზმი. ეს ნიშნავს, რომ უნდა წახალისდეს მცირე პარტიების გამსხვილება და მათი ინიციატივები. პარტიული დაფინანსებაც არ უნდა იყოს მარტო საბაზისო დაფინანსება, არამედ დაფინანსება პარტიების აქტიურობის მიხედვით უნდა ხდებოდეს. კერძოდ, თუკი პარტიას რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივა აქვს, ეს უნდა წახალისდეს და დაფინანსდეს კიდეც.

დავით ზარდიაშვილი ამ მხრივ გერმანიის გამოცდილებას გვთავაზობს. მაგალითად, გერმანიის „ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას“ რომელიმე ბიზნესმენი როცა ფულს ურიცხავს, ვთქვათ, ასი ათას ევროს, ამ ასი ათასი ევროდან 10% მიდის საერთო ყულაბაში, რომელსაც ჰქვია პარტიების განვითარების ფონდი. ეს ფონდი გრანტებით მუშაობს, ანუ პარტიებს აძლევენ გარკვეულ თანხას თავიანთი აქტივობის შესაბამისად, რომელ აქტივობასაც საზოგადოებრივი სარგებელი მოაქვს. ამით პარტიულ-პოლიტიკური სისტემა დაზღვეულია პოლარიზაციისგან.

„ასეთ შემთხვევაში, პატარა პარტიები, გინდა თუ არა, ნაცებს კი არ მიებმებიან, არამედ საკუთარი ნიშა ექნებათ და განვითარდებიან. ასე რომ, დამფინანსებლებს შეუძლიათ, თვითონვე შექმნან საბჭო და თავად გადანაწილდება გრანტები. პარტიას რომ ფულს სწირავ, გასაგებია, მისი მხარდამჭერი ხარ, გარკვეული პოლიტიკური მიზანი გაქვს და ფულს იხდი ამ მიზანში, ამის ერთ-ერთი საშუალებაა პარტიების განვითარების ფონდი. ასევეა აღმოსავლეთ ევროპის გამოცდილება, როცა საშემოსავლო გადასახადიდან ნაწილი მიდის არასამთავრობო სექტორის დაფინანსებაზე. ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ხდება ძირითადად მათი დაფინანსება და ადამიანი როცა იხდის საშემოსავლოს (ადგილობრივ გადასახადს), იქ პირდაპირ უთითებს, არასამთავრობოებიდან რომელს გადაურიცხოს საშემოსავლოს 1%. არ არის საჭირო უცხოური გრანტები და სოროსის დაფინანსება, თვითონ ამომრჩეველი წყვეტს ამას. ასეთი მოქნილი სისტემებია საჭირო, რათა, საბოლოო ჯამში, საჯარო პოლიტიკის დენაციფიკაცია მოხდეს. უნდა შეიქმნას ამ პოლიტიკური ექსტრემიზმის ალტერნატივა, რომ პოლიტიკური აქტივობა პოზიტიურად განხორციელდეს. რამე კი არ უნდა დაანგრიოს პოლიტიკამ, არამედ რაღაც უნდა შექმნას. დღეს კი რა გამოდის? ჩვენ ვაფინანსებთ პოლიტიკას, რომელიც გვანგრევს“, – მიიჩნევს დავით ზარდიაშვილი.

მანანა ნოზაძე

„მიშა საერთოდ არ მადარდებს, მადარდებს ყველა ის საჯარო პირი, ვინც „ოცნების“ სიძულვილით მიხეილ სააკაშვილს და მის სექტას ამბრაზურად გადაეფარა. რამდენი ყოფილხართ და თურმე როგორ იფუთებოდით?! გეტყოდით, ეს რა გიყოთ სეთურმა-თქო, მაგრამ ვერავინ ვერაფერს გიზამდათ, ბოლმით და სიძულვილით თავიდანვე სავსე რომ არ ყოფილიყავით.

თქვენ მართლა ხომ არ გააფრინეთ! დამნაშავე არ უნდა დაისაჯოს? რა ღირსების შემლახავი მოპყრობა, რა დაცინვა, 9 წელია ეფოფინებიან ამ მტარვალს და მის სექტას (ამაზე ცალკე უნდა მოეკითხოს „ოცნებას“)! აბა, როგორ გაბედეს და მიშას კაპრიზებს როგორ შეეწინააღმდეგნენ! კერძო კლინიკა რა მოსატანია, მალდივებზე უნდა გაეშვათ და ჰარამხანა მოეწყოთ! – ვაი, თქვენს ჭკუას!

გგონიათ, მიშას დაბრუნება ააყვავებს ამ ქვეყანას?! – არა, არ გგონიათ, რადგან კარგად იცით, ვერ მობრუნდება. უბრალოდ, ისე დაგაბრმავათ „ოცნების“ სიძულვილმა, მიშას ხელს უწყობთ, აზანზაროს ეს ქვეყანა და სიმშვიდე არ გვაღირსოს.

იმეფა და წავიდა. რა აკლდა – ფული? ქალები? თანამდებობა? – ყველაფერი ჰქონდა ძალაუფლების გარდა! მიშა პოლიტიკური ცხოველია, რომელიც ძალაუფლების გარეშე ვერ გაძლებს და ამ ძალაუფლების გიჟურმა ვნებამ დააბრუნა ქვეყანაში, რომლის მოქალაქეობა უყოყმანოდ დათმო. არ მითხრათ, რომ ქვეყანა უყვარს, რომ გაიაზრა და მოინანია ყველა ის სისხლი, რომელიც ხელებზე სცხია. ღმერთმა არ ქნას, რომ ხელისუფლებაში დაბრუნდეს, თორემ პირველი თქვენ დაგერევათ თქვე საცოდავებო და იცით რატომ? პირველ რიგში, თქვენგან მოითხოვს ყველა მისი დანაშაულის „გაპრავებას“ და ეს დანაშაულები გაცილებით მასშტაბური იქნება, რადგან ახლა სისხლს არის მოწყურებული, შურისძიება წყურია და ქვას ქვაზე არ დატოვებს. თავიდან გამოიგონებს და შექმნის ახალ ახალაიებს, მერაბიშვილებს, მასტერებს, კოდუებს, ქარდავებს და ყველა იმ ნაბიჭვარს, ვისი ხელითაც ატერორებდა ქვეყანას. ამაზე იდგა მიშას ძალაუფლება და ამაზე იდგება მომავალშიც! გაბედეთ და ხმა ამოიღეთ – ყველას ჯვარი გწერიათ და იმის წარმოდგენაც მაშინებს, რა დღეში ჩააგდებს თქვენს ოჯახებს. გაგიჟდით თქვე სულგაყიდულებო?! რა რუსეთი, რის პუტინი!!! თქვენ რა, თავი ყველაზე ჭკვიანი გგონიათ და მარტო თქვენ ხედავთ, რა და რატომ ხდება?! სანამ სხვის რუსეთუმეობაზე ილაპარაკებთ, საკუთარ ვნებებს დაუკვირდით. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, პირველი თქვენ გაიხედავთ რუსეთისკენ, რადგან თქვენ არც ქვეყნის სიყვარული შეგიძლიათ და არც სამართლიანობა გადარდებთ! მონური ფსიქოლოგიის ხართ და ზუსტად, თქვენნაირების იმედზეა პუტინი.

გიყვარდეთ და შეაკვდით თქვენს ბელადს, მაგი მე არ ვიდარდო, ოღონდ ამ ქვეყანას თავი დაანებეთ და გაწმინდეთ ეს პოლიტიკური ველი თქვენი ლეშისგან, რომ გზა ახალ თაობას გაეხსნას! დაასრულეთ ეს ჯოჯოხეთი და მერე ნახეთ, „ოცნებას“ როგორ შემოუტრიალდეს ხალხში დაგროვილი მთელი რისხვა, რომელსაც ზევით ამოსვლის საშუალებას არ აძლევენ მხოლოდ იმის გამო, რომ იმ გარეწრების წისქვილზე არ დაასხან წყალი. ადრე თუ გვიან, მიშა თავისას მიიღებს, მაგრამ თქვენ რა გეშველებათ, თქვენ!

არ წაიღეს ტვინი“!..

როზი ჯღამაია

აცადეთ ქვეყანას და ხალხს!

ოპოზიციის მიტინგის საპირწონედ თბილისში ჩატარებული მრავალათასიანი მიტინგის მონაწილეები „მთავარი არხის“ ე. წ. ლიდერმა, გარყვნილმა გვარამიამ ბიომასად მოიხსენია, ხოლო „პალიტრის“ არხზე ყოფილმა დეპუტატებმა კაციტაძემ და ჭიჭინაძემ კი – უღირსებად. მართალი გითხრათ, ამ უკანასკნელთა მიმართ გაკვირვება ვერ დავმალეთ – ქვეყანა ვერ დაალაგეს, ვერაფერი ვერ გააკეთესო, ბრძანეს მათ. განა აცდით ქვეყნის დალაგებას და მშენებლობას ვინმეს? ცხრა წელიწადი სისხლში ჩაახშვეთ ხალხი, ატერორეთ ბიზნესი, გაანადგურეთ მეცნიერება, ქვეყნიდან უცხოეთში გაყარეთ ათასები, დაკარგეთ ტერიტორიები და მტერს შეაკალით საჯიშე ქართველები, ნგრევა დაუწყეთ დედა-ეკლესიას, ციხეებში გამოამწყვდიეთ ათიათასობით უდანაშაულო ადამიანი და ამას მშენებლობასა და წინსვლას ეძახდით.

ახლა, როდესაც პირწმინდად წააგეთ არჩევნები, როდესაც ერისა და ქვეყნის მოღალატე, სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე სამშობლოგაცვლილი, ქვეყნის ასარევად უკანონოდ შემოსული ექსპრეზიდენტი კანონიერად სასამართლოს წინაშე წარდგება და სასჯელს ქართულ ციხეში მოიხდის, კვლავ ქვეყნის არევისთვის, მოქალაქეთა დაპირისპირებისთვის, სისხლიანი რევანშისთვის და რევოლუციების მოწყობისთვის იბრძვით. დაქირავებული და ფულზე გაყიდული რამდენიმე ტელევიზიის საშუალებით გონებას უბინდავთ არამარტო თქვენს მომხრეებს, არამედ ფულით მოსყიდულ ხალხს. იმ ადამიანებს, ასიათასობით პატიოსან და სააკაშვილის რეჟიმის დროს გარიყულ, დამცირებულ, დასჯილ ადამიანებს ბიომასასა და მოღალატეებს უწოდებთ. ეს ხალხი სამართლიანობის აღდგენას ითხოვს, რაც უკვე დაიწყო და იმედია არ შეჩერდება.

იმედია, თქვენ მიერ მოსყიდული, ფულზე გაყიდული თქვენი ვაიმომხრეები გონს მოვლენ, თორემ კარგად ხედავენ, რომ ჩვენ ათჯერ და ასჯერ მეტნი ვართ, მეტნი ვართ და ისინი, ვისაც ქვეყნის დაწყნარება, დამშვიდება, სამართლიან სახელმწიფოში დემოკრატიული კანონებით ცხოვრება გვსურს.

მალხაზ დოლიძე,
ანზორ თედორაძე,
ჯემალ სადაღაშვილი

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔ

2001 **ᲬᲔᲚᲡ** „იუნესკოს“ მიერ დაფუძნებული მეცნიერების მსოფლიო დღე მშვიდობისა და განვითარებისთვის, ყოველწიურად 10 ნოემბერს აღინიშნება მსოფლიოს მასშტაბით. ამ მხრივ, არც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიაა გამონაკლისი და ჩვენც ტრადიციულად აღვნიშნავთ ამ მოვლენას. წლეულს მეცნიერების სხვადასხვა დარგში მოღვაწე წარმატებული 28 მეცნიერი დაჯილდოვდა აკადემიის საპატიო სიგელით. გამოჩენილ მეცნიერებს მიესალმნენ აკადემიის პრეზიდენტი გიორგი კვესიტაძე, ვიცე-პრეზიდენტი როინ მეტრეველი და აკადემიკოს-მდივანი რამაზ ხუროძე.

მეცნიერების მსოფლიო დღე დაარსდა მეცნიერების მსოფლიო კონფერენციის მიერ, რომელიც „იუნესკოს“ ეგიდით ჩატარდა ბუდაპეშტში (უნგრეთი) 1999 წელს, მეცნიერების საერთაშორისო კავშირის მიერ. ყოველწლიურად ამ თარიღის აღნიშვნა ემსახურება იმ მიზანს, რომ გააცნოს საერთაშორისო საზოგადოებას მეცნიერების როლის მნიშვნელობა. ეწყობა ღონისძიებები, რათა მოქალაქეები მეტად იყვნენ ინფორმირებულები მეცნიერების განვითარების ამა თუ იმ საკითხებში. ამგვარად, მეცნიერების მსოფლიო დღე ეხმარება მეცნიერებს გააცნოს ფართო საზოგადოებას, რა ადგილი უკავია მას ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაარსების დღიდან, მეცნიერების მსოფლიო დღეს იხილება კონკრეტული პროექტები, რომლებიც გარკვეულ კავშირებს და ხიდებს ქმნიან მეცნიერებასა და საზოგადოებას შორის. ამ მოვლენის პარტნიორები არიან „იუნესკოს“ ეროვნული კომისიები, არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციები, პროფესიული ასოციაციები და მეცნიერული კვლევის ცენტრები; ისინი ყოველწლიურად მონაწილეობენ ამ ღონისძიების აღნიშვნაში და წარმატებასაც აღწევენ. ამგვარად, ეს დღე ემსახურება მეცნიერების განვითარების ეტაპების გაცნობას ფართო საზოგადოებისთვის და მისი მნიშვნელობის წარმოჩენას.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲛᲐ პანდემიამ კიდევ ერთხელ დაანახა სამყაროს მეცნიერების უდიდესი მნიშვნელობა, „იუნესკოს“ ეგიდით ჩატარდა ონლაინ-კონფერენცია — „მეცნიერება საზოგადოებისთვის და ბრძოლა კოვიდ-19-თან“; წლეულს კი, ამ ღონისძიების ფარგლებში „იუნესკომ“ მოაწყო მრგვალი მაგიდა — „მეცნიერება საზოგადოების სამსახურში“. აღსანიშნავია ისიც, რომ წლეულს „იუნესკო“ დაარსებიდან 75 წლის იუბილეს აღნიშნავს.

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲕᲐᲓᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ,
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ�პᲘᲠᲘ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲝᲑᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ 100 000 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡ ᲥᲐᲜᲒᲑᲐᲓᲡ ᲨᲔᲘᲪᲐᲕᲡ

ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘᲡ **კვლევის წინსვლასთან ერთად, ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ვხედავთ, რამდენი ფული და დრო იდება ტექნოლოგიებში, რომლებმაც კოსმოსური რესურსების ეფექტიანად გამოყენების საშუალება უნდა მოგვცეს. მთელ ამ ძალისხმევაში ერთ-ერთი მთავარი აქცენტი მთვარეზე ჟანგბადის წარმოების პოვნაზე კეთდებოდა.**

ოქტომბერში, ავსტრალიის კოსმოსურმა სააგენტომ და NASA-მ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, პროგრამა „არტემისის“ ფარგლებში, მთვარეზე ავსტრალიური მავალიც უნდა გაიგზავნოს, რომელმაც ქანები უნდა შეაგროვოს; შეიძლება, ქანები მთვარეზე ჟანგბადის წარმოების ერთ-ერთი გზა იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ მთვარეს ატმოსფერო აქვს, ის ძალიან თხელია და ძირითადად წყალბადის, ნეონისა და არგონისგან შედგება. მთვარის ატმოსფერო არ გახლავთ იმ სახის აირთა ნარევი, რომელსაც ჟანგბადზე დამოკიდებულ ძუძუმწოვართა სიცოცხლის უზრუნველყოფა შეუძლია.

თუმცა, მთვარეზე ბლომად ჟანგბადიც არის, მაგრამ არა აირად ფორმაში. ჟანგბადი იქ რეგოლითშია ჩაჭედილი — ქანებისა და წმინდა მტვრის ფენაში, რომელიც მთვარის ზედაპირს ფარავს.

ᲗᲣ ᲐᲛ ᲠᲔᲒᲝᲚᲘᲗᲘᲓᲐᲜ ᲥᲐᲜᲒᲑᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲐᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲗ, ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲗᲕᲐᲠᲔᲖᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ?

დედამიწაზე ჟანგბადი მრავალ მინერალში გვხვდება. მთვარე კი ძირითადად დედამიწის მსგავსი ქანებისგან შედგება.

* * *

ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲚᲐᲜᲓᲨᲐᲤᲢᲨᲘ ᲓᲝᲛᲘᲜᲘᲠᲔᲑᲡ ᲘᲡᲘᲗᲘ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲔᲑᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲚᲘᲪᲘᲣᲛᲘ, ᲐᲚᲣᲛᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐ�გᲜᲘᲣᲛᲘᲡ ᲝᲥᲡᲘᲓᲔᲑᲘ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲡ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲟᲐᲜᲒᲑᲐᲓᲘᲡ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲐᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚ ᲤᲝᲠᲛᲐᲨᲘ.

მთვარის ზედაპირზე ეს მინერალები რამდენიმე სხვადასხვა ფორმით არსებობს, მათ შორის მყარი ქანების, მტვრის, ხრეშისა და ქვების სახით. ეს მასალები მთვარის ზედაპირზე დროთა განმავლობაში ჩამოცვენილ მეტეორიტთა შედეგია.

მთვარის ზედაპირის შრეს ზოგჯერ მთვარის „ნიადაგს“ უწოდებენ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ნიადაგი მხოლოდ დედამიწაზე გვხვდება. აქ ის წარმოქმნილია უთვალავი სხვადასხვა ორგანიზმის მიერ, მილიონობით წლის განმავლობაში, რეგოლითის დაშლის შედეგად. დედამიწის ნიადაგი გამოირჩევა მრავალი ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური მახასიათებლებით. მთვარის ზედაპირზე კი, მასალები ძირითადად ხელუხლებელი, თავდაპირველი რეგოლითის სახით არის.

* * *

ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲠᲔᲒᲝᲚᲘᲗᲘ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 45 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲟᲐᲜᲒᲑᲐᲓᲘᲡ�გᲐᲜ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ �თᲣᲛᲪᲐ, ᲔᲡ ᲟᲐᲜᲒᲑᲐᲓᲘ ᲛᲭᲘᲓᲠᲝᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲐᲭᲔᲓᲘᲚᲘ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲔᲑᲨᲘ. ᲐᲛ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲑᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐᲓ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ.

ამ პროცესის შესახებ შეიძლება კარგად იცოდეთ, თუ იცით, რა არის ელექტროლიზი. დედამიწაზე ამ პროცესს ძირითადად წარმოებაში იყენებენ, მაგალითად, ალუმინის საწარმოებლად. ელექტროდების საშუალებით, ელექტროდენი ალუმინის ოქსიდის თხევად ფორმაში გადის და ალუმინისგან ჟანგბადს გამოაცალკევებს.

ამ შემთხვევაში, ჟანგბადი ქვეპროდუქტის (დამატებითი) სახით იწარმოება. მთვარეზე ჟანგბადი მთავარი პროდუქტი უნდა იყოს და ალუმინი (ან სხვა ლითონები) კი პოტენციურად სასარგებლო ქვეპროდუქტები.

ძალიან პირდაპირი და მარტივი პროცესია, მაგრამ არის ერთი მომენტი: მოითხოვს ბევრ ენერგიას. იმისათვის, რათა მდგრადი იყოს, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მზის ან მთვარეზე ხელმისაწვდომი სხვა ენერგიით.

რეგოლითისგან ჟანგბადის გამოყოფა ასევე მოითხოვს ინდუსტრიულ აღჭურვილობას. პირველ რიგში საჭირო იქნება ლითონის მყარი ოქსიდების თხევად ფორმაში გადაყვანა ან სიცხით, ან მისი კომბინაციით გამხსნელებთან თუ ელექტროლიტებთან.

დედამიწაზე ამისათვის საჭირო ტექნოლოგია არსებობს, მაგრამ ამ აპარატურის მთვარეზე წაღება და მისთვის საკმარისი ენერგიის წარმოება ფრიად საძნელო საქმე იქნება.

2021 წლის დასაწყისში, ბელგიურმა სტარტაპმა Space Applications Services-მა განაცხადა, რომ სამ ექსპერიმენტულ რეაქტორს აშენებდა ელექტროლიზის გზით ჟანგბადის წარმოების პროცესის გაუმჯობესების მიზნით. გეგმავენ, რომ ეს ტექნოლოგია 2025 წელს მთვარეზე გაგზავნონ ევროპის კოსმოსური სააგენტოს რესურსების უტილიზაციის მისიის (ISRU) ფარგლებში.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲥᲐᲜᲒᲑᲐᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲗᲕᲐᲠᲔᲖᲔ?

ᲚᲝ�გᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲐ. **პასუხი კი ერთია — ძალიან ბევრი. თუ არ ჩავთვლით მთვარის უფრო ღრმა ქანებში ჩაჭედილ ჟანგბადს და მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ რეგოლითს, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომია ზედაპირზე — შესაძლებელია გარკვეულ შეფასებათა გაკეთება.**

მთვარის რეგოლითის ყოველი კუბური მეტრი საშუალოდ შეიცავს 1,4 ტონა მინერალებს, მათ შორის, 630 კილოგრამ ჟანგბადს. NASA-ს მონაცემებით, ადამიანს არსებობისთვის დღეში 800 გრამი ჟანგბადის სუნთქვა სჭირდება. შესაბამისად, 630 კგ ჟანგბადი ერთ ადამიანს ორ წელიწადს ეყოფა.

ამას გარდა, ჩავთვალოთ, რომ მთვარეზე რეგოლითის საშუალო სიღრმე დაახლოებით 10 მეტრია და მასში არსებული მთელი ჟანგბადის გამოყოფას შევძლებთ. გამოდის, რომ მთვარის ზედაპირის ზედა 10 მეტრიდან მიღებული ჟანგბადი დედამიწის 8 მილიარდ ადამიანს დაახლოებით 100 000 წელიწადს ეყოფოდა.

ეს ასევე იმაზეც იქნება დამოკიდებული, რამდენად ეფექტიანად ვაწარმოებთ და მოვიხმართ ჟანგბადს. მიუხედავად ამისა, ასეთი რიცხვები მაინც შთამბეჭდავია. ახლა უფრო ადვილად მისახვედრია, რამდენად კარგი ადგილია დედამიწა, რომ აქ ამდენი წვალება არ გვჭირდება. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ დავიცვათ ჩვენი ცისფერი პლანეტა, განსაკუთრებით კი მისი ნიადაგი, რომელზეც არის დამოკიდებული ყოველგვარი სიცოცხლის არსებობა

მოამზადა
The Conversation-**ის მიხედვით**
ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲭᲐᲑᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲗᲑᲝᲑᲐ 1,5 ᲒᲠᲐᲓᲣᲡᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲘᲖᲦᲣᲓᲔᲑᲐ...

ᲒᲚᲐᲖᲒᲝᲨᲘ **გაეროს კლიმატური ცვლილებების 26-ე კონფერენციაზე დასკვნითი ხელშეკრულება მიიღეს. ახალი ხელშეკრულების თანახმად, 200-მდე ქვეყანა ქვანახშირის გამოყენების ეტაპობრივი შემცირების დაჩქარებაზე და წიაღისეული საწვავის სუბსიდიების ეტაპობრივი გაუქმების შესახებ შეთანხმდა. გარდა ამისა, კონფერენციაში მონაწილე მხარეები გლობალური დათბობის 1,5 გრადუსამდე შეზღუდვაზე შეთანხმდნენ.**

ამასთან, ახალი შეთანხმების მიხედვით, მდიდარმა ქვეყნებმა ფინანსური სახსრების მობილიზება უნდა მოახდინონ, რათა შედარებით ღარიბმა სახელმწიფოებმა კლიმატური ცვლილებებით გამოწვეულ შედეგებთან გამკლავება შეძლონ.

დასკვნით ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ყველა მონაწილე მხარემ, სითბური აირების ემისიასთან დაკავშირებული ეროვნული გეგმების შესრულების ვალდებულება უნდა აიღოს.



2011 წელს ჩემს შვილს უარი ეთქვა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე დოქტორის ხარისხით, ასისტენტ-პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დაკავებაზე.

გრიგოლ ბრეგაძე:

ბატონო ნიკოლოზ, რისი შიშით უნდა ვიყო შეპყრობილი?!



ბატონო ნიკა, მძიმეა საკითხი, რის გამოც გადაწყვიტეთ საჯაროდ მოგემართათ, მესმის თქვენი წუხილი როგორც ექიმს და მშობელს. არავის ვუსურვებდი შვილის ნახვას საპატიმროში. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, მეც საჯაროდ მეპასუხა თქვენთვის, — იუსტიციის მინისტრის მამა, ნეიროქირურგი გრიგოლ ბრეგაძე მიხეილ სააკაშვილის მამას ნიკოლოზ სააკაშვილის პასუხობს.

„თქვენ მთხოვთ გამოვხატო ჩემი პოზიცია უშიშრად. კარგად არ მესმის, რისი შიშით უნდა ვიყო შეპყრობილი და რა შიში მაქვს გადასალახი. როგორც ომის ვეტერანისთვის სამშობლოს კეთილდღეობა და მშვიდობა ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ღირებულებაა. ჩემი შვილის სტიპენდიის საკითხმა სხვადასხვა კონტექსტში უკვე რამდენჯერმე გაიჟღერა, ამიტომ მინდა დავაზუსტო: რა თქმა უნდა, როგორც ნებისმიერი მშობელი, მოხარული ვიყავი, როდესაც ჩემმა შვილმა უნივერსიტეტის წარჩინებით დასრულების შემდეგ და მაქს პლანკის ინსტიტუტის პერსონალური მოწვევის საფუძველზე, მოიპოვა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული რეფორმებისა და განვითარების ფონდის ერთწლიანი სტიპენდია, რომლის ფარგლებშიც იგი იმყოფებოდა გერმანიაში სამეცნიერო მივლინებაში 2006 წელს.

შემდგომ, გერმანიის აკადემური გაცვლების სამსახურის სტიპენდიით გაიარა ერთწლიანი მაგისტრატურა, მიიღო LLM ხარისხი. მოგვიანებით კონრად ადენაუერის სახელობის ფონდის სამწლიანი სტიპენდიის ფარგლებში, ჰამბურგის უნივერსიტეტში წარმატებით დაასრულა დოქტორანტურა და მიენიჭა სამართლის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

თითოეული ფონდისადმი გულწრფელად მადლიერი ვიყავი, ვარ და ვიქნები მომავალში!

თუმცა აქვე არ შემიძლია, არ გავიხსენო ის უსამართლობა, როდესაც განსხვებული პოლიტიკური შეხედულების გამო, 2011 წელს მას უარი ეთქვა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე დოქტორის ხარისხით, ასისტენტ-პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დაკავებაზე.

ჩემი ცხოვრების განმავლობაში, ჩემს სამედიცინო პრაქტიკაში არაერთხელ დავრჩენილვარ დილემასთან, მაგრამ ყოველთვის მჯეროდა, რომ პაციენტის მართვა ექიმების და არა პოლიტიკოსების საქმეა. აფხაზეთის ომის დროს, ოჩამჩირეში, გულმკერდის ჭრილობით აფხაზი გვეწვა, კეთილშობილი კაცის, აწ განსვენებული ქირურგის დავით მაღალაშვილის ნაოპერაციები. ერთ ოთახში ვცხოვრობდით რამდენიმე ექიმი დათოსთან ერთად და სიამოვნებით ვეხმარებოდით სამედიცინო ღონისძიებებში. არ იყო იშვიათი ჩვენს მიმართ უკმაყოფილო, ხშირად უცენზურო, ზოგჯერ აგრესიული გამონათქვამებიც... ამ გარემოებას მედპერსონალის ერთსულოვნებაში, პროფესიული მოვალეობის ერთგულებაში კორექტივი ომის დროსაც არ შეუტანია. მე ღრმად მწამს, სრულიად დარწმუნებული ვარ ჩვენი ექიმების პროფესიულ კეთილსინდისიერებაში. დაე მათ, შესაბამისი პროფესიული, ჯანმრთელობის ინტერესებიდან გამომდინარე, განსაზღვრონ მკურნალობის საკითხები. ასევე დარწმუნებული ვარ, პენიტენციური სისტემა იხელმძღვანელებს ექიმების არგუმენტირებული, ობიექტური რეკომენდაციებით და მათი პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჩასატარებელ აუცილებელ ღონისძიებებთან შეჯერებით, მიიღებს დინამიურ და კორექტულ გადაწყვეტილებებს. დასასრულ, როგორც საზოგადოების ერთ-ერთმა წევრმა, როგორც ექიმმა, მინდა, ვთხოვო და მოვუწოდო თქვენს, შვილს შეწყვიტოს შიმშილობა. თქვენ და თქვენს ოჯახს ვუსურვებ ჯანმრთელობას“, — წერს გრიგოლ ბრეგაძე.

საჯარო წერილში **ნიკოლოზ სააკაშვილი** ყოფილ კოლეგას ერთად გატარებულ თანამშრომლობის წლებს ახსენებს და ამბობს, რომ მესამე პრეზიდენტმა რატი ბრეგაძის უცხოეთში სწავლა დააფინანსა. **ნიკოლოზ სააკაშვილი გრიგოლ ბრეგაძეს დახმარებას სთხოვს.**

მცდელის მოტაცება

პრეზიდენტი გაიტაცესო! — მოთქვამენ მისი დიეტური შიმშილობის 39-ე დღის შემდეგ ორთოდოქსი ნაცები.

დავიჯერო, მათ ნაწილს მაინც არაფერი სმენია სკორცენისაგან დუჩეს ან ისრაელის „მოსადის“ მიერ მსოფლიოს სხვადასხვა წერტილებიდან ფაშისტ დამნაშავეთა მართლაც კლასიკური „ორთქლების“ შესახებ?

ჰაი, ჰაი, რომ სმენიათ, მაგრამ ასე აწყობთ და „მთავარ-პირველ- ფორმულა-კავკასიის“ ეთერებიდან ჯერაც ბნელეთში მობორიალე მომხრეებს აბოლებენ და აბოლებენ — სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანით პაციენტის გლდანში, ციხის საავადმყოფოში გადაყვანას კანონთან საერთო არაფერი აქვს, რადგან ბრალდებულ-მსჯავრდებული მიშა იქამდე მოტყუებით მიიყვანეს შეპირებული მულტიპროფილური კერძო კლინიკის ნაცვლადო.

სიმართლე პირუთვნელად უნდა ითქვას — პენიტენციური სისტემის მესვეურებს „საუკუნის პატიმრისთვის“ დანიშნულების პუნქტის შერჩევა ნამდვილად შეეშალათ, რადგან არავისთვისაა საიდუმლო, რომ მთელი რიგი პარამეტრების გათვალისწინებით იგი მკურნალობას ფსიქიატრიულ დაწესებულებაში უფრო იმსახურებს.

სხვათა შორის, ტრაგიკომიკური ტუსაღის აღნიშნულმა ექსკურსიამ რუსთავიდან გლდანამდე საზოგადოებას როგორც ჩვენი დროის ახალი გმირი, ისე ძველი ანტიგმირიც დაუსურათხატა.

დიახ, თუ პირველ შემთხვევაში ერთ-ერთ მასპინძელს, უფრო მეტიც — დირექტორის მოადგილე **გოგა ორდენიძეს** ვგულისხმობ, რომელსაც სისხლიანი რეჟიმის ოპონენტები მარჯვენას უქებდნენ — ფიურერს გაძალიანების დროს რამდენჯერმე კისერში უთავაზაო, რის გამოც, გვარის შესაბამისად, რომელიმე ორდენი ეკუთვნისო, სტაჟიან რეაქციონერს — **გიგი უგულავას** არაკაცური სამიკროფონო მოწოდებისთვის, პირიქით, რისხვა თვით აქამდე მისივე პარტნიორი არასამთავრობოებისგან დაატყდა თავს. მართლაც, ძნელია უფრო რბილად შეაფასო ბატონი გოგას შვილის მიმართ გამოთქმული მუქარა — ჯალათი მამის გამო მისმა კლასელებმა და ახლობლებმა თვით მისი ბავშვი უნდა შეაჩვენონო. ის, რომ მალევე ამ სამარცხვინო არსებამ ბოდიშის მოხდა ინება, ბევრს არაფერს ცვლის. ისე, ხომ არ ავიწყდება მშობლიურ პარტიაში ფოთის საარჩევნო კამპანიაში კრახით დაბრუნებულ მედროვეს, რომ თვითონაც მშობელია?

ამ ფონზე მართლაც ღირსეულად გამოიყურება ალალად მოშიმშილე თხუპნია ქალაბიჭა **ელენე ხოშტარია**, რომელმაც ბელადისადმი ერთგულების დასამტკიცებლად საპარლამენტო აპარტამენტში დასცა ბანაკი.

სამწუხაროდ, ზნეობასთან მისი მარტვილობის დროსაც ჩაიჭრნენ, როცა განაცხადეს — ოთხი შვილის დედას ღებინება იმიტომ აუტყდა, რომ, ეტყობა, მეხუთეს ელოდებაო. რას ვიზამთ, მორალთან მწყრალად ბარიკადის ორივე მხარეს მდგარნი არიან.

და ბოლოს — ნიკანორ მელიას მიერ დაანონსებული რეგიონებში გასაშლელი ფართო საპროტესტო მოძრაობის შესახებ, რომელიც ლიხს იქეთ ერთჯერადად, გულის მოსაოხებლად გამართულ რამდენიმე მიტინგში გამოიხატა და ბოლოს ისე დანამცეცდა, რომ თბილისში, ვაჟა ფშაველას ძეგლთან და მეტროს სადგურებთან ჩაუშვა ღუზა.

აბა, მიშა მაგარიაო?!

გია პლატონიშვილი

მწერლები ტორესა მოსის დაკავებას აპროტესტებდნენ

მწერალ ტორესას დაკავების გასაპროტესტებლად მწერლები და ლიტერატურის სფეროს წარმომადგენლები „მწერალთა სახლთან“ შეიკრიბნენ. საპროტესტო აქციის მონაწილეებმა ხელისუფლებას უკანონოდ დაკავებული აქტივისტების გათავისუფლებისკენ მოუწოდეს. მათ ასევე მიხეილ სააკაშვილის სამოქალაქო კლინიკაში დაუყოვნებლივ გადაყვანა მოითხოვეს.

„ყველანი შეშფოთებულები ვართ იმითი, რაც ხდება ჩვენს ქვეყანაში და ყოველდღიურად მდგომარეობა უარესდება და უარესდება. სამწუხაროდ, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ისედაც პოლარიზებული საზოგადოება კიდევ უფრო აგრესიულად იყოს ერთმანეთის წინააღმდეგ განწყობილი, ამის მაგალითი არის თუნდაც ტორესას დაკავება თელავში“, — ამბობს ლიტერატურის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ლაშა ბაქრაძე. **„ეს ავლენს სწორედ ამ რეჟიმის დანაშაულებრიობას, რომ ისეთ წესიერ პატიოსან და მშვიდობისმოყვარე მოქალაქეებს იჭერს, თავიანთი სამართლიანი პროტესტისთვის, როგორიც არის თუნდაც ტორესა მოსი და ეს არის საერთო კონტექსტი ჩვენი პროტესტის: გაყალბებული არჩევნების, მესამე პრეზიდენტის ეგზეკუციის და საერთოდ იმ პროცესის, რომელიც დამოკიდებულია საქართველოს დაღმასვლასთან, რუსეთის ბოქვენ ქვეშ“,** — ამბობს მწერალი ლაშა ბუღაძე.

„გირჩი — მეტი თავისუფლების წევრი“ ტორესა მოსი 12 ნოემბერს თელავში სუს-ის რეგიონულ ოფისთან დააკავეს. ტორესა მოსს მანქანით სამსახურის შესასვლელი ჰქონდა გადაკეტილი. პოლიციამ მას მანქანიდან გადმოსვლა მოსთხოვა, უარის შემდეგ კი ძალის გამოყენებით გადმოიყვანეს...

გუშინ უდღეური „რევოლუციონერი“ ტრესა მოსი დარბაზიდან გაათავისუფლეს!..

ზურაბ ჯაფარიძის პარტია ჭკუიდან გადავიდა...

პარტიაში „გირჩი-მეტი თავისუფლება“ აცხადებენ, რომ მჩხიბავს შსს-ზე ჯადო გააკეთებინეს. პარტიის წარმომადგენლები ზაჰესის წინასწარი დაკავების იზოლატორთან იმყოფებოდნენ.

როგორც „გირჩი-მეტი თავისუფლებაში“ ამბობენ, მჩხიბავი სტელა სტამბოლიდან ჩამოიყვანეს და პოლიტსაბჭოსთან შეთანხმებით დაგეგმეს ჯადო.

პარტიაში აცხადებენ, რომ მათი მოთხოვნაა იმ პოლიტიკოსების გათავისუფლება, რომლებიც უკანონოდ დააკავეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი აცხადებენ, რომ ჯადოს არ მოხსნიან!

ქვეყანას უმძიმესი ზამთარი და უძვირესი გაზაფხული ელოდება!

ძვეყანაში პროდუქტი მუდმივად ძვირდება და ფასებმა პიკს მიაღწია. მოსახლეობა ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ზამთრის მოლოდინშია და დიდი ალბათობით, ინფლაციის მოთოკვა კიდევ რამდენიმე თვე შეუძლებელი იქნება. სამომხმარებლო კალათაში განსაზღვრული 305 დასახელების პროდუქტიდან 271-ის ფასი გაიზარდა, მათ შორის 139-ში ორნიშნა პროცენტული ნიშნით და ორ შემთხვევაში სამნიშნა პროცენტული მაჩვენებლით.

ეს პრობლემა მარტო საქართველოს კი არა, მთელ მსოფლიოსაც უტევს, მაგრამ ჩვენ საკუთარი პრობლემების მოგვარებაზე უნდა ვიზრუნოთ, რაც არაფრით არ ხერხდება. როგორც ექსპერტი **სოსო სიმონიშვილი** აღნიშნავს, ის მდგომარეობა, რაც ახლა ქვეყანაშია, ყველაზე ცუდი სცენარია.

„ბოლო დროს მსოფლიოში განსაკუთრებით დიდი სისწრაფით ძვირდება ნავთობი, ბუნებრივი აირი და სხვა ენერგომატარებლები, რაც შემაშფოთებელია. მთავრობის შესაბამისმა სამინისტროებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რომ მდგომარეობა გამოსწორდეს. როდესაც ენერგომატარებლები ძვირდება, ცხადია, ის იწვევს ყველაფრის გაძვირებას, შესაბამისად, აისახება ფასებზე და არის კიდეც მაღალი ინფლაცია. აქედან გამომდინარე, ჩვენს მთავრობასა და ეროვნულ ბანკს უნდა მიეღო შესაბამისი ზომები, რაც ვერ დავინახეთ.

ძალიან მძიმე ზამთარი გველოდება, შევხედოთ საწვავის ფასებს, მოსალოდნელია გაზის გაძვირებაც, რაც უკვე ითქვა კომერციულ ტარიფთან მიმართებით. ამას თავისთავად ადგილობრივ პროდუქციაზე ფასის ზრდა მოჰყვება. იმავდროულად იმოქმედებს პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე, რამაც შესაძლოა, გამოიწვიოს ექსპორტის შემცირება და ამან კიდევ უფრო ძლიერად „დაარტყას“ ინფლაციას და საბოლოო ჯამში, ცხოვრების დონე მკვეთრად გააუარესოს“, — აღნიშნა სიმონიშვილმა და დასძინა, რომ ეროვნულმა ბანკმა უნდა იმოქმედოს იმისათვის, რომ მდგომარეობა, რაც ქვეყანაშია, მალე გამოსწორდეს.

ეროვნული ბანკი კი ვერანაირ იმედს ვერ იძლევა, რომ ვითარება მოგვარდება და დარეგულირდება, მათ შორის არათუ ამ ზამთარში, არამედ გაზაფხულზეც კი. სებ-ის პრეზიდენტის განცხადებით, 2022 წლის მარტში წლიური ინფლაცია 6%-ზე მაღალი იქნება. ამის მიზეზად კი **კობა გვენეტაძე** საერთაშორისო ბაზარზე ნავთობისა და ხორბლის ფასების ზრდას ასახელებს.

„ინფლაცია მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის, მთლიანად გლობალური პრობლემაა და პანდემიამ გამოიწვია ეს წინაპირობა. უშუალო მიზეზებს რაც შეეხება, ეს არის გაძვირებული საერთაშორისო ფასები, ანუ ის ფაქტორები, რომლებიც მიწოდების მხრიდან მოქმედებს ინფლაციაზე. მაგალითად, ნავთობი, რომელიც ახლა, დაახლოებით, 2.5-ჯერ მეტი ღირს ვიდრე ერთი წლის წინ, ასევე თუ „ფაოს“ ინდექსს გადავხედავთ, საკვები პროდუქტების ფასები საკმაოდ გაზრდილია.

როდესაც პროგნოზს ვაკეთებთ, ვითვალისწინებთ იმას, თუ რამდენი ხანია, რაც ეს პროცესი დაიწყო. თუ შევხედავთ, მაგალითად, ნავთობის ფასების ზრდას, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს მუდმივად არ მოხდება და რაღაც დონეზე ეს გაჩერდება. საქართველოს შემთხვევაში იყო კომუნალური სფეროს სუბსიდირების საკითხი, რამაც შეამცირა ინფლაცია, შემდეგ კი კიდევ უფრო დაუმატა ინფლაციას, მეთოდოლოგიის გამო.

ვფიქრობთ, ეს ფაქტორები მიილევა, რადგან ინფლაციას ჩვენ თვის ჭრილში ვუყურებთ, მაგრამ წლიურ ჭრილში და 12 თვის შემდეგ უნდა შევამჩნიოთ სხვაობა. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მარტიდან წლიური ინფლაცია შემცირებას დაიწყებს. ის ალბათ უფრო მაღალი იქნება, ვიდრე ადრე ვვარაუდობდით. ჩვენი პროგნოზი იყო, რომ მარტში წლიური ინფლაცია 6%-მდე შემცირდებოდა, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ნავთობის ფასი აგრძელებს ზრდას და ამავე დროს ხორბლის ფასებიც მატულობს, შემცირება არ იქნება ისეთი, როგორსაც ვვარაუდობდით“, — განმარტა სებ-ის პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, მარეგულირებელი ინფლაციური პროცესების სამართავად ყველა შესაძლო მექანიზმს იყენებს, რაც პირველ რიგში, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებაში გამოიხატება.

„პროგნოზებში ჩვენ ვითვალისწინებთ ყველა ახალ გარემოებას, რომელიც გვაქვს, მაგრამ იმისთვის, რომ მიზნობრივ მაჩვენებელზე უფრო მაღალი ინფლაცია მოლოდინებში არ გადაიზარდოს, საკმაოდ გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა გვაქვს და ეს უნდა დაეხმაროს ამ პროცესს. იმ შემთხვევაში თუ ვნახეთ, რომ საჭიროა სხვადასხვა ზომა, ამ ზომების მიღებას გავაგრძელებთ, პირველ რიგში, ეს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის გამკაცრებაა, მაგრამ ისევ და ისევ უნდა დავინახოთ როგორ ცვლის ეს მდგომარეობას ბაზარზე“, — აღნიშნა „ბიზნეს მედიასთან“ საუბრისას გვენეტაძემ.

სებ-ის ოქტომბრის მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის მიხედვით, ინფლაციამ ბოლო პერიოდში მიზნობრივ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად გადააჭარბა და მოკლევადიან პერიოდში მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდება. მასზე მოქმედი, დიდწილად ერთჯერადი, ფაქტორების ამოწურვისა და მკაცრი მონეტარული პოლიტიკის რეაგირების შედეგად, მიზნობრივ მაჩვენებელთან დაახლოება 2022 წლის მე-2 კვარტლიდან დაიწყება.

ბექა დანელია

მომავალი პედაგოგებისთვის საგანმანათლებლო კამპანია იწყება

15-დან 21 ნოემბრის ჩათვლით სტუდენტთა კვირეულისა და კამპანია #მომავალი პედაგოგის ფარგლებში სტუდენტური ღონისძიებები რამდენიმე ქალაქში გაიმართება. ინიციატივა გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდისა და 6 პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით ჩატარდება.

გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდმა, რომელიც მე-5 წელია წარმატებით ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტებს, გასულ წელს სპეციალური სტიპენდიებიც დააწესა იმ წარმატებული სტუდენტებისთვის, ვინც მასწავლებლის პროფესიას ეუფლება.

„კამპანიის მიზანია გახადოს მასწავლებლის პროფესია უფრო მიმზიდველი, პოპულარიზაცია გაეწიოს პედაგოგიური მიმართულებით სწავლას, ერთმანეთს დააკავშიროს მოქმედი წარმატებული და მომავალი პედაგოგები. ერთკვირიანი აქტივობების ფარგლებში დაგეგმილია ვორქშოფები, როგორც პარტნიორ უნივერსიტეტებში, ასევე, სხვადასხვა სკოლაში. ღია გაკვეთილებსა და მასტერკლასებს ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში წარმოჩენილი მასწავლებლები, გამარჯვებული დირექტორები და განათლების ექსპერტები ჩაატარებენ. კამპანიის ფარგლებში ფონდის სტიპენდიატ სტუდენტებს საშუალება მიეცემათ თავად დაგეგმონ საინტერესო ღონისძიებები და ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში, სხვადასხვა პროექტებში გამარჯვებული მასწავლებლები კი პროექტის მონაწილეებს საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ. ამასთან ერთად, კვირეულის ფარგლებში სტიპენდიანტთა კლუბის პრეზენტაციაც იგეგმება, რომელიც 6-ვე უნივერსიტეტის სტუდენტებს გააერთიანებს.

ფონდის სასტიპენდიო პროექტის შესახებ: მომავალი მასწავლებლების სტუდენტური სტიპენდიებით დაფინანსების პროგრამა გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდმა გასულ წელს საკუთარი ინიციატივით წამოიწყო. აღნიშნული პროგრამა 6 სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობით ხორციელდება. ეს უნივერსიტეტებია: გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი, ზუგდიდის შ. მესხიას უნივერსიტეტი და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჯამში, მიმდინარე სემესტრიდან სტიპენდიას მაღალი მოსწრების 60-მდე სტუდენტი იღებს“, — ნათქვამია გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

კიდევ ერთი ახალი ტაძარი ზუგდიდში

ზუგდიდში, გამსახურდიას ქუჩაზე — წმინდა მოციქულების პეტრე და პავლეს სახელობის ახალი ტაძარი აკურთხეს. საზეიმო წირვა ზუგდიდსა და ცაიშის ეპარქიის მიტროპოლიტმა გერასიმე შარაშენიძემ აღავლინა. ტაძრის კურთხევასა და საზეიმო წირვა-ლოცვას საპატრიარქოსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სხვადასხვა ეპარქიის სამღვდელოება და მრევლი დაესწრნენ.



ახალი ტაძრის წინამძღვრად მღვდელი მამა იოანე აკობიაა დადგენილი. ტაძრის მშენებლობას 2019 წელს ჩაეყარა საფუძველი. პეტრე და პავლეს სახელობის ტაძრის ქტიტორები, ბიზნესმენები — ალექსანდრე, თენგიზ და ვახტანგ ხარებავები არიან.

სამცხე-ჯავახეთში 3 ახალი სკოლა აშენდა

მუნიციპალური **განვითარების ფონდმა, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ადიგენის მუნიციპალიტეტში კიდევ 3 ახალი სკოლის სამშენებლო სამუშაოები დასრულა. ახალი, 150 მოსწავლეზე გათვლილი, სკოლები აშენდა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურსა და სოფელ ბენარაში. ასევე, 60 მოსწავლეზეა გათვლილი ახალი საჯარო სკოლა სოფელ ღორთუბანში. სამივე სკოლა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენდა.**

რეგიონში სკოლების რეაბილიტაცია-მშენებლობის პროგრამის ფარგლებში, 34 მილიონი ლარის ინვესტიცია ხორციელდება.

იყალთოში ენერგოეფექტური საბავშვო ბაღი გაიხსნა!

ევროკავშირმა **და თელავის მუნიციპალიტეტმა ოფიციალურად გახსნეს პირველი ენერგოეფექტური საბავშვო ბაღი კახეთში, რომლის განახლება და თბოიზოლაცია ევროკავშირის დახმარებით განხორციელდა. ბიომასის ენერგიის ტექნოლოგიის გამოყენებით, საბავშვო ბაღი ზამთარში სრულად გათბება და ამავდროულად ხარჯების 60%-საც დაზოგავს.**

საბავშვო ბაღის გახსნის ოფიციალური ცერემონია ენერგოეფექტურობის საკითხებზე ევროკავშირის მიმდინარე საინფორმაციო კამპანიის „მეტი სარგებელი ნაკლები დანახარჯით“ და ევროკავშირის ელჩის კახეთში ვიზიტის ფარგლებში გაიმართა.

„ენერგოეფექტურობა საქართველოში ევროკავშირის საქმიანობის პრიორიტეტია. ამ საბავშვო ბაღისთვის ჩვენ ვიყენებთ ინოვაციურ ტექნოლოგიებსა და ნარჩენებს ვენახებიდან, კერძოდ წალამს, რაც გათბობის იაფი და კარგი საშუალებაა. ამ მეთოდის მეშვეობით, ნაკლები ენერგიისა და ნაკლები ფინანსური რესურსების გამოყენებით, ჩვენ უკეთეს და ჯანსაღ გარემოს ვუქმნით ბავშვებს. ევროკავშირი კვლავაც მხარს დაუჭერს ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო რეფორმას და ისეთი ინოვაციური გადაწყვეტილებების შემუშავებას, როგორიც აქ იყალთოშია,“ — განაცხადა ელჩმა ჰარცელმა გახსნის ცერემონიაზე.

მალე 30 წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც მსოფლიო რუკიდან საბჭოთა კავშირი გაქრა. უზარმაზარი ტერიტორია 22,4 მილიონი კვადრატული კილომეტრის მოცულობით, ქაოსის რეალური საფრთხის წინაშე დადგა. მაგრამ ეს მხოლოდ ამ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხებისთვის არ იყო გამოწვევა, არამედ მთელი მსოფლიოსათვის... 1991 წლის მიწურულს აშშ და ბევრი ევროპული სახელმწიფო უკიდურესად შეშფოთებული იყო დესტაბილიზაციის უკონტროლო პროცესით, ვინაიდან საქმე საბჭოთის ბირთვული შეიარაღების არსენალის ბედს ეხებოდა.

სამი უმნიშვნელოვანესი გზაგასაყარი

ყაზახეთის დამოუკიდებლობის 30 წელიწადი

კერძოდ, სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო შენაერთები, რუსეთს გარდა, უკრაინასა და ყაზახეთში იდგნენ. მარტო ყაზახურ სტეპებში 100-ზე მეტი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა იყო განთავსებული, ისევე, როგორც ათასზე მეტი ბირთვული ქობინა. ქაოსის შემთხვევაში, ბირთვული მასალის ტერორისტების ხელში მოხვედრის ალბათობა არსებობდა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ყაზახეთის ულბინის ქარხანაში 1994 წელს აღმოჩენილ იქნა მოსკოვის მიერ ვითომ „დავიწყებული“ საიდუმლო საწყობი, 600 კილოგრამი გამდიდრებული საბრძოლო ურანით. ამის შესახებ საერთაშორისო ტერორისტებმაც შეიტყვეს. საჭირო გახდა სახიფათო ტვირთის საიდუმლო ევაკუაცია ყაზახეთისა და ამერიკული სპეცსამსახურების მიერ – სპეცოპერაციას კოდური სახელი „Сапфир“ მიენიჭა.

აღსანიშნავია, რომ ყაზახეთის მაშინდელ პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევს მილიარდობით დოლარს სთავაზობდნენ იმისათვის, რომ მას ბირთვული იარაღი შეენარჩუნებინა, რის შედეგადაც მსოფლიოს რუკაზე პირველი ბირთვული მუსლიმანური სახელმწიფო გაჩნდებოდა. ერთხელ ყაზახეთში ლიბიის იმჟამინდელი ლიდერის, მუამარ კადაფის თვითმფრინავი დაჯდა, შეფუთული დოლარებით სავსე. ეს ფული განკუთვნილი იყო ბირთვული არსენალის შესანარჩუნებლად. ძნელი და ცუდი წარმოსადგენია, რა მოხდებოდა, ახალგაზრდა რესპუბლიკის მეთაური ნ. ნაზარბაევი რომ დაჰყოლოდა იოლი ფულის ცდუნებას, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე, რომელშიც მაშინ ქვეყანა, სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად, იმყოფებოდა. ეს იყო გადამწყვეტი გზაგასაყარი ყაზახეთისთვის, რომელმაც, საერთო ჯამში, არჩევანი ატომური იარაღისგან თავისუფალი სტატუსის მქონე სახელმწიფოს სასარგებლოდ გააკეთა.

თუმცა მანამდე, ამ გადაწყვეტილებას, 1991 წლიდან მოყოლებული, ურთულესი მოლაპარაკებები უსწრებდა წინ. აშშ-ის მხრიდან მოლაპარაკებებს წარმართავდა სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი. აშშ მიზნად ისახავდა, რომ საკითხი თავისთვის მინიმალური საფინანსო ხარჯებით გადაწყვეტილიყო, ხოლო ნურსულთან ნაზარბაევის ამოცანას უსაფრთხოების იურიდიული გარანტიების მიღება ბირთვული სახელმწიფოების მხრიდან და მათთან უფრო მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა წარმოადგენდა. საბოლოო ჯამში, ცენტრალური აზია ბირთვული იარაღისგან თავისუფალ სივრცედ იქცა, ხოლო ყაზახეთი რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, ლიდერი გახდა და თან მსოფლიოში ანტიბირთვული მოძრაობის ავანგარდში ჩადგა.

მეორე გზაგასაყარი, რომელსაც ისტორიის სავსებით წარმოუდგენელი მიმართულებით შებრუნება შეეძლო, იმავე 1991 წლის არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო – აგვისტოში მოსკოვში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება. სსრკ პრეზიდენტი გორბაჩოვი თავის აგარაკზე ყირიმში გამოკეტეს უკანონოდ შექმნილი ორგანოს – საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის („გეკაჩეპე“) წევრებმა და ძალაუფლება ხელში აიღეს. მაშინდელ რეგიონულ ლიდერებს პუტჩისთვის რომ დაეჭირათ მხარი, მივიღებდით საბჭოთა კავშირის ყველაზე უფრო ცუდ ვარიანტს, რეპრესიებითა და პრობლემათა ძალისმიერი გადაწყვეტით. და მაინც, როგორ მოიქცნენ რესპუბლიკური ელიტები? სადღაც პუტჩს მხარი დაუჭირეს, სადღაც – მომლოდინე პოზიციებზე დადგნენ. მაგალითად, უკრაინამ, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა გორბაჩოვის შინაპატიმრობაში აყვანა, თავი საერთოდ არ გამოავლინა. ყურადღების ცენტრში ყაზახეთი აღმოჩნდა, ვინაიდან ნაზარბაევის ფიგურა სსრკ-ის პოლიტიკურ არენაზე მძიმეწონოსანთა რიცხვს განეკუთვნებოდა – სწორედ მას შესთავაზეს საბჭოთა კავშირის მთავრობის სათავეში ჩადგომა. მაგრამ, ნაზარბაევი სხვებზე უფრო გამბედავი გამოდგა. მან უარი თქვა რესპუბლიკაში საგანგებო მდგომარეობის შემოღებაზე და „გეკაჩეპე“ ანტიკონსტიტუციურად გამოაცხადა. როდესაც პუტჩისტებმა მოსკოვში თეთრ სახლზე შეტევა გადაწყვიტეს, სადაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ელცინი იმყოფებოდა, ყაზახეთის ლიდერი ჩაერია საქმეში და დაძაბული მოლაპარაკებების და კონსულტაციების შედეგად, მოახერხა პოლიტიკური კრიზისის დაძლევაში დახმარების გაწევა. არქივებში ინახება ნაზარბაევის სატელეფონო საუბრების ჩანაწერები სსრკ თავდაცვის მინისტრ იაზოვთან, რომელიც ნაზარბაევმა გონზე მოიყვანა და მინისტრმა მოსკოვში შეყვანილი ტანკები ისევ უკან გაიყვანა, შემდგომში კი ყველაფერ მომხდარს „დიდი სისულელე“ უწოდა.

მესამე გზაგასაყარი სსრკ-ს „იუგოსლავიის სცენარით“ დაშლას უქადდა. 1991 წლის 8 დეკემბერს ბელოვეჟში მიღწეული შეთანხმებების შედეგად, საბჭოეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე მმართველობის ტოტალური კრიზისი წარმოიშვა. სამმა საბჭოთა რესპუბლიკამ – რუსეთმა, უკრაინამ და ბელორუსიამ ფაქტობრივად ცალმხრივად მიიღეს გადაწყვეტილება, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, როგორც „საერთაშორისო სამართლის სუბიექტისა და გეოპოლიტიკური რეალობის“, არსებობის შეწყვეტის თაობაზე. და ეს იმ დროს მოხდა, როდესაც გრძელდებოდა მოლაპარაკებები სსრკ-ის კონფედერაციის ფორმატით შენარჩუნებაზე, რასაც მხარს უჭერდნენ დასავლეთის ქვეყნებიც, თიხის ფეხებზე მდგარი კოლოსის დაცემის შიშით, რომელსაც მთელ მსოფლიოში ტექტონიკური ძვრების გამოწვევა შეეძლო. დასავლეთი ცდილობდა, ბეჭებზე „ნაზად“ გაეკრა თავისი მოწინააღმდეგე, რათა დაცემისას ბირთვული არსენალი არ შერყეულიყო, რაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა. შედეგად მივიღეთ კონფლიქტების პროვოცირება უკვე ქაოსში ჩაფლული საბჭოეთის ტერიტორიაზე. იმ დროს უკვე ცეცხლის ალში იყო გახვეული მთიანი ყარაბაღი, ისევე, როგორც მთელი კავკასია, დნესტრისპირეთი, ტაჯიკეთში დაძაბულობა მატულობდა, სადაც მალევე აღმოცენდა სამოქალაქო ომი. სლავურმა რესპუბლიკებმა თითქოს თავი მოიზღუდეს მზარდი კრიზისისგან, შექმნეს რა სამთა კავშირი. თურქულ რესპუბლიკებში, თავის მხრივ, საკუთარი გაერთიანების შექმნის თაობაზე ალაპარაკდნენ. ევრაზიის რუკაზე ახალი გამყოფი ხაზების წარმოშობის ალბათობა გაიზარდა, რაც კიდევ უფრო მეტ ეროვნულ და რელიგიურ კონფლიქტს გამოიწვევდა და მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეს გლობალური არასტაბილურობის წყაროდ გადააქცევდა.

რამ გააჩერა ეს პროცესი და მას ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ერთმანეთისგან ცივილიზებული დაშორების სახე მისცა? უფრო ზუსტად – ვინ? – ნურსულთან ნაზარბაევმა. მან ყაზახეთის დედაქალაქში შეკრიბა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ლიდერები, რამაც საბჭოეთის არსებობას ლეგიტიმური წერტილი დაუსვა და ახალი გაერთიანება – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა შექმნა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სწორედ ყაზახეთის ლიდერმა გახადა შესაძლებელი, სსრ კავშირის დაშლა ყველასათვის შედარებით მსუბუქი ფორმით წარმართულიყო. ნაზარბაევის შემდგომმა ქმედებებმა ეს პროცესი მხოლოდ გაამყარეს. ყაზახეთი გახდა შუა აზიაში სტაბილურობის ფორპოსტი. ეს ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ყველა მეზობელთან, მათ შორის, ნავთობით მდიდარ კასპიის ზღვაზე, შეძლო სასაზღვრო საკითხის მოგვარება. ჩინეთთან საზღვრის დადგენა ვერც რუსეთის იმპერიამ, ვერც საბჭოთა კავშირმა, მე-19 და, შესაბამისად, მე-20 საუკუნეებში, ვერ შეძლეს. ეს შეძლო ნურსულთან ნაზარბაევმა – შეძლო არა დათმობების, არამედ ურთიერთკომპრომისების მეთოდით. აი, ერთი საკმაოდ მრავლისმეტყველი ციფრი: სსრ კავშირის შემადგენლობაში ყაზახეთის ტერიტორია 2 მილიონ 717 ათას კვ. კმ-ს შეადგენდა, ხოლო დამოუკიდებელი ყაზახეთის ტერიტორია დღეს შეადგენს 2 მილიონ 725 ათას კვ.კმ-ს. როგორც ვხედავთ, უმაღლეს დონეზე წარმატებული მოლაპარაკებებისა და დიპლომატების დაუღალავი შრომით, ყაზახეთმა არა მხოლოდ ახალი ტერიტორიები შეიერთა, არამედ თანამედროვეობის მთავარი მადესტაბილიზებელი ფაქტორი მოაგვარა – დაუდგენელი საზღვრების საკითხი.

გიორგი წიგნაძე

მუვიდობამდე ჯერ კიდევ შორია!

სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთს ცეცხლის გახსნაში ადანაშაულებენ.

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სომხეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა ბასარგეჩარის რაიონის სოფელ იუჰარი შორჟაში მდებარე პოზიციებიდან, სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღებიდან, მათ შორის სნაიპერული შაშხანებიდან და ყუმბარმტყორცნებიდან სროლები განახორციელეს ქელბაჯარის რაიონში განლაგებული აზერბაიჯანის არმიის პოზიციების მიმართულებით. თავდაცვის უწყების ცნობით, აზერბაიჯანის არმიის პერსონალს შორის მსხვერპლი არ არის. სამინისტროს განცხადებით, აზერბაიჯანელმა სამხედროებმა სომხეთის პოზიციების მიმართულებით საპასუხო ცეცხლი გახსნეს და ამჟამად ინციდენტის ადგილას ოპერატიულ ვითარებას აზერბაიჯანის არმიის ქვედანაყოფები აკონტროლებენ.

თავის მხრივ, მედიის ცნობით, სომხეთის თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, რომ აზერბაიჯანის შეიარაღებულმა ძალებმა ცეცხლი გახსნეს გეღარქუნიკის რაიონის სოფელ ვერინ შორჟაში განთავსებული სომეხი სამხედროების მიმართულებით და სომხურმა მხარემ საპასუხო ცეცხლით უპასუხა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სომხურ მხარეს მსხვერპლი არ არის.

მსოფლიო დაინახავს...

ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, უკრაინის საზღვართან 100 ათასამდე რუსი სამხედროა განლაგებული. მისივე თქმით, დასავლეთის ქვეყნებმა გაუზიარეს ინფორმაცია რუსების აქტიური გადაადგილების შესახებ.

„იმედი მაქვს, რომ მსოფლიო ამჯერად ნათლად დაინახავს, სინამდვილეში, ვის უნდა მშვიდობა და ვინ კრებს 100 ათასამდე ჯარისკაცს ჩვენს საზღვართან“, – განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

ბრიტანული სესხი უკრაინის საზღვაო ძალებისთვის

საზღვაო ძალების განვითარებისთვის უკრაინა დიდი ბრიტანეთისგან 1,7 მილიარდი ფუნტის ოდენობის სესხს მიიღებს. 12 ნოემბერს, ლონდონში, დიდ ბრიტანეთში უკრაინის ელჩმა ვადიმ პრისტაიკომ მინისტრთა კაბინეტის სახელით ხელი მოაწერა ბრიტანულ-უკრაინულ ჩარჩო შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს თანხების გამოყოფას 8 ერთეული სარაკეტო კატარღის მშენებლობისთვის, ორი ერთეული ნაღმოსანის შესასყიდად და ამასთან, ორი საზღვაო ბაზის ასაშენებლად.

აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. საუბარია 1,7 მილიარდი ფუნტის ოდენობის სესხზე, რომელსაც დიდი ბრიტანეთი უკრაინას 10 წლით გადასცემს.

◎ კავკასიის სახელით

კარი ხმაურიანად გავიჯახუნეთ

მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წინ მაშინ ჯერაც ახლადდანიშნულ ვილი სანიოლს კონკრეტული ამოცანა დაუსახეს – ჯგუფში მინიმუმ მესამე ადგილის დაკავება, რასაც ფრანგმა მწვრთნელმა თავი ვერ გაართვა – საქართველოს ეროვნული ნაკრები ხუთ გუნდს შორის მეოთხე პოზიციას დასჯერდა.

ასე რომ, მასთან კონტრაქტის გახანგრძლივების საკითხი, წმინდა ბუღალტრული თვალსაზრისით, ერთობ ბუნდოვანია, მაგრამ, მეორეს მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ „ჯვაროსნებმა“ იმედისმომცემი თამაშით დაიწყეს საკვალიფიკაციო რაუნდი და შემდგომი კრიზისული მონაკვეთის კვალდაკვალ ორი, მათ შორის ყოფილ ლიდერ შვედეთთან ხმაურიანი გამარჯვებით დაასრულეს, იმავე დღეს კი შინ ჩვენი მეზობლები სომხეთი და აზერბაიჯანი შერცხვნენ. საერთოდ, ეს იყო ჩვენებურთა მეშვიდე სამუნდიალო შესარჩევი ციკლი და მეოთხედ დავიკავეთ ბოლოსწინა ადგილი, ორჯერ ბოლონი ვიყავით, ხოლო საუკეთესო შედეგი 2002 წელს გვქონდა – მესამე საფეხური.

სკანდინავიელებთან შეხვედრაზე, პირველად ისტორიაში, მატარებლით ჩავედით ბათუმში, სადაც აქამდე გამართულ ორ მატჩში ქულა არ აგვიღია, თუმცა, ამჯერად ულამაზეს „აჭარაბეთ არენაზე“ კოვიდრეგულაციების სრული დაცვით დაშვებული 7 ათასი ქომაგის სახით ის მუხტი შემოგვემატა, რომლის დიდ მნიშვნელობასაც ბრძოლის შემდეგ ხაზი ყველამ გაუსვა.

სტუმრებს, მართალია, თვით ზლატან იბრაჰიმოვიჩი მიუძღვებოდა მეტოქის კარის საიერიშოდ, მაგრამ ტრავმირებული ერთბაშად 4 ცენტრალური მცველი აკლდათ, მასპინძლებს კი ამავე მიზეზით კიტეიშვილი ვერ ეხმარებოდა, დისკვალიფიკაცია ორი ყვითელი ბარათის გამო სანიოლს (მის ნაცვლად შეგირდებს ზურაბ ხიზანიშვილი მოძღვრავდა), დვალსა და გიორბელიძეს ჰქონდათ, ხოლო ჩაკვეტაძე და კანკავა ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დარჩნენ.

სხვათა შორის, საქართველოს ნაკრების კაპიტანს გუნდში ჩატარებული 100 მატჩის გამო (მეორე შედეგი ლევან კობიაშვილის შემდეგ)შეხვედრის წინ სპეციალური პრიზი გადაეცა, ნაკრებიდან კი გიორგი ნავალოვსკი გააცილეს (41 თამაში).

ბუნებრივია, დღეს დაგვიანებულია უკვე მოძველებული წარმატების პერიპეტიებზე საუბარი, ის კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ პარტნიორებს ღირსეულად ულიდერეს დუბლის ავტორმა **ხვიჩა კვარაცხელიამ,** რომელსაც ბიჭების მიერ მთელ ტურნირში გატანილი 6-დან 4 გოლი ეკუთვნის, მეკარე **გიორგი ლორიამ,** დაცვის ბურჯმა **გურამ კაშიამ** და საყრდენმა ნახევარმცველმა **ვაკო გვილიამ,** ვინც **ნიკა კვეკვესკირთან** ერთად მთელ მინდორზე შეასრულა უდიდესი მოცულობის სამუშაო.

დღეს სეზონის დასკვნით მატჩს გორში გავმართავთ, სადაც ამხანაგურ შეხვედრაში უზბეკეთს ვუმასპინძლებთ, 16 დეკემბერს დანიშნული წილისყრა კი მომავალ ერთა ლიგაში ჩვენი გუნდის მეტოქეებს გამოავლენს.

საბერძნეთი – ესპანეთი 0:1.

„ბ“ ჯგუფის საბოლოო ცხრილი. ესპანეთი – 16, შვედეთი – 15, საბერძნეთი – 9, საქართველო – 7, კოსოვო – 4 ქულა.

ბოლო ტური: ესპანეთი – შვედეთი, საბერძნეთი – კოსოვო.

◎ ნაცნობი ფირფიტა



როგორია სპორტული ორგანიზაციების მმართველობის ხარისხი? – ამ საინტერესო კითხვაზე საპასუხოდ განხორციელდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც დეტალურად შეისწავლეს 21 სუბიექტის, უმეტესწილად ფედერაციებისა და სამი რეგიონული სტრუქტურის საქმიანობა.

შესაბამისი კვლევა მისი ინიციატორის – საქართველოს პარლამენტის სპორტის კომიტეტის, აგრეთვე გაეროს განვითარების პროგრამისა და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით მოეწყო, მონაწილეთა მოღვაწეობა კი ოთხი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა: გამჭვირვალობა, დემოკრატიული პროცესები, შიდა ანგარიშვალდებულება და კონტროლი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა.

აღნიშნული კომპონენტების შეჯერებით შედგა ინდივიდუალური ინდექსი, რომელმაც განსაზღვრა ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გამორჩეულ ინდივიდთა ტრიო: კალათბურთის ფედერაცია (58%), ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (57%) და რაგბის კავშირი (41%).

რაც შეეხება გამოწვევებს, ხაზგასმით ითქვა, რომ საქართველოში პრობლემატურია არჩევნები, ეთიკა და სახელმწიფო რესურსების მოხმარება, როცა არ ქვეყნდება, სად და როგორ დაიხარჯა საბიუჯეტო ხარჯები.

ნაცნობი ფირფიტაა, ხომ?!

◎ გამოცდა

საეჭვაპო მნიშვნელობისა

ამერიდან მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული დაახლოებით 100-გვერდიანი ორენოვანი გამოცემა Rugby World Georgia კვარტალში ერთხელ გაახარებს რაგბის ქომაგებს, მის ბეჭდვას, ასევე საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ გავრცელებას კი მედიაჰოლდინგი „პალიტრა“ უზრუნველყოფს.

ასეთი გახლავთ საქართველოს რაგბის კავშირისა და ბრიტანულ მედიაგიგანტ Futureplc-ს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის პირველი შედეგი, უშუალოდ საშვილიშვილო პროექტის ხორცშესხმას კი სრკ (**იოსებ ტყემალაძე**), რაგბის ჟურნალისტთა ლიგა (**თემურ ჯაფარიძე, ზაალ გიგინეიშვილი, ბესიკ ჯანგავაძე, ზურა ქსოვრელი, ლუკა ჭოჭუა**) და აღნიშნული კომპანია (**დავით სამსონაძე**) გაუძღვებიან.

მოგეხსენებათ, რომ ინგლისი რაგბის სამშობლოა, სადაც პირველად გაგორდა ოვალური ბურთი, ეს ქვეყანა კი მსოფლიოში ლიდერთა შორისაა პოლიტიკური, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში, ხოლო ლონდონი პლანეტის ფინანსური დედაქალაქიცაა. დაგვეთანხმებით, საქართველოს რაგბის კავშირისთვის ნისლიან ალბიონთან სხვადასხვა მიმართულებით კონტაქტების გაღრმავება პრიორიტეტულია – თანხმდებიან მხარეები.

◎ ტატამი

ძალა ერთობაშია!

14 გუნდი დარეგისტრირდა ძიუდოისტთა შერეულ ევროპის ჩემპიონატზე (კაცთა და ქალთა 3-3 წონითი კატეგორია), რომელსაც 27 ნოემბერს ბაშკირეთის დედაქალაქი უფა უმასპინძლებს.

საქართველო

კაცები: ალეკო მამიაშვილი, ფრიდონ გიგანი (ორივე – 73), ბექა ღვინიაშვილი, ლუკა მაისურაძე (ორივე – 90), გელა ზაალიშვილი, საბა ინანეიშვილი (ორივე +90).

ქალები. ეთერ ლიპარტელიანი (57), მარიამ ჭანტურია, ნინო გულბანი (ორივე – 70), სოფიო სომხიშვილი (+70).

ბოლო მსგავსი ტურნირი 3 წლის წინათაც რუსეთში გაიმართა და მაშინ გერმანიამ ფინალში ნიდერლანდებს 4:2 მოუგო, ჩვენი გუნდი კი ტატამზე არ გამოსულა.

◎ ტრადიცია

5 წლის შემდეგ

ხუთწლიანი პაუზის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტმა საკუთარ რეზიდენციაში უმასპინძლა ნბა-ს მოქმედ ჩემპიონს.

დიახ, „მილუოკი ბაქსი“ თეთრ სახლში ეწვია ჯო ბაიდენს და ეს გახლდათ 2016 წლის შემდეკგ „ოქროს ბეჭდის“ მფლობელთა პირველი ვიზიტი კაპიტოლიუმის ბორცვზე, რადგან მანამდე „გოლდენ სტეიტი“ და „ტორონტო“ არ ეთანხმებოდნენ დონალდ ტრამპის პოლიტიკას, ხოლო შარშან „ლეიკერსს“ ხელი პანდემიამ შეუშალა.

105 წლის მსოფლიო რეკორდსმენი

აშშ-ში, ლუიზიანის შტატში მცხოვრებმა 105 წლის ჯულია ჰოკინსმა თავის ასაკობრივ კატეგორიაში სპრინტერულ დისტანციაზე სირბილში მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან 100-მეტრიანი მანძილი 62,95 წამში დაფარა.

რეკორდის დამყარების მიუხედავად ჰოკინსი თავისი შედეგით უკმაყოფილო დარჩა და აღნიშნა, რომ 100 მეტრის 1 წუთში დაფარვას გეგმავდა. „ასაკოვანი ადამიანების თამაშებზე“ (თუტშწკ პფქუთ) ჯულია ჰოკინსი 80 წლის ასაკიდან ასპარეზობს. მან ველორბოლაში ორი ოქროს მედალი მოიპოვა, თუმცა შემდეგ სპორტის ამ სახეობაში ასპარეზობა დაასრულა, ვინაიდან მის ასაკობრივ კატეგორიაში არცერთი მეტოქე აღარ დარჩა.

100 წლის ასაკში ჯულია ჰოკინსი სპრინტერი გახდა. 2017 წელს მან 100 მეტრი 39,6 წამში გაირბინა, რაც ასევე მსოფლიო რეკორდს წარმოადგენდა. მოგვიანებით მისი მიღწევა სხვა სპრინტერმა მოხსნა, რის შემდეგაც ჯულია ჰოკინსმა რეკორდის დამყარება 105 წლიანთა კატეგორიაში გადაწყვიტა და დასახულ მიზანს მიაღწია.

ბურთში თითქმის ნახევარი მილიონი დოლარი გადაიხადა

ფრენბურთის ბურთი ფილმიდან „გარიყული“ აუქციონზე 308 ათას დოლარად გაიყიდა. ტომ ჰენქსის მონაწილეობით 2000 წელს გადაღებულ ფილმში გამოყენებული ბურთი საუქციონი სახლმა Prop Store-მა გაყიდა.

ბურთის სასტარტო ფასი 80 ათასი დოლარი იყო, მისმა ახალმა მფლობელმა კი ვინაობის დასახელება არ ისურვა. რობერტ ზემეკისის ფილმის „გარიყული“ პრემიერა 2000 წელს შედგა. სიუჟეტის მიხედვით, მთავარი გმირი ჩაკ ნოლანდი (ტომ ჰენქსი) ავიაკატასტროფის შედეგად უკაცრიელ კუნძულზე აღმოჩნდება, სადაც მისი ერთადერთი „მეგობარი“ ფრენბურთის ბურთი „მისტერ უილსონი“ ხდება.

ძველი ოლიმპიის ვირტუალური ასლი

კომპანია Microsoft-მა და საბერძნეთის მთავრობამ ძველი ოლიმპიის ვირტუალური ასლი შექმნეს. პროექტი ხელმისაწვდომია როგორც მობილური ტელეფონიდან (Google Play და App Store), ასევე პერსონალური კომპიუტერიდან.

მომხმარებლებს შეუძლიათ, შეისწავლონ ქალაქის ძეგლები და არქიტექტურა, ასევე გაეცნონ ანტიკური ოლიმპიური თამაშების ჩატარების ისტორიას. ვებგვერდზე ასევე გვხვდება აუდიოგიდი, რომელიც პირველ ეტაპზე ინგლისურად და ბერძნულადაა ხელმისაწვდომი.

გამორჩეული მეცნიერი და პიროვნება აკადემიკოსი თენგიზ (გიზო) ურუშაძე

ქართულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა — 2021 წლის 12 ნოემბერს მოულოდნელად, 81 წლის ასაკში გარდაიცვალა საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერი, მეცნიერების ორგანიზატორი და პედაგოგი, დიდსულოვანი ადამიანი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, აკადემიკოსი **თენგიზ (გიზო) ურუშაძე**. ამ ღვაწლმოსილი, ძალზედ გულისხმიერი და სპეტაკი ადამიანის ცხოვრება ნათელი მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურებოდე შენს სამშობლოს, ხალხს და მომავალ თაობებს ქვეყნის აღმავლობისა და განვითარებისთვის.



1958 წელს საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე, 1980 წელს დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახ. თბილისის უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტი, 1967 წელს პროფ. ს. ზონის ხელმძღვანელობით მოსკოვის გეოგრაფიის ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1980 წელს — მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიადაგმცოდნეობის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში სადოქტორო დისერტაცია ბიოლოგიაში. 1988 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2000 წელს — ნამდვილ წევრად. 1983 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

ყველასთვის საყვარელი და ბავშვურად მიამიტი გიზო ყოველთვის იყო საზოგადოების სრულფასოვანი და აქტიური წევრი. სხვადასხვა დროს მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა საქართველოს სატყეო ინსტიტუტში, იყო მ. საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა აკადემიის ეკოლოგიური უსაფრთხოების კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს ნიადაგმცოდნეთა საზოგადოების პრეზიდენტი, გერმანიაში, ჩილეში, უნგრეთში, უკრაინაში, სომხეთში, თურქეთსა და აზერბაიჯანში გამომავალი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი, წლების განმავლობაში იყო საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, კათედრის გამგე და რექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და კათედრის გამგე, საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი. იგი ყველგან დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. იყო საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიისა და საქართველოს სხვა პრემიების ლაურეატი.

თავისი ფართო სამეცნიერო კონტაქტები ბატონმა გიზომ გამოიყენა 2003 წელს თბილისში საერთაშორისო ჟურნალის „Annals of Agrarian Science“ დასაარსებლად, რომელიც მალე იქცა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, გერმანიის, ავსტრიის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების ერთობლივი თანამშრომლობის კერად.

აკად. თენგიზ ურუშაძე 500-მდე სამეცნიერო ნაშრომისა და პუბლიკაციის, მ.შ. 50-ზე მეტი წიგნისა და სახელმძღვანელოს ავტორია. საქართველოს გარდა, წარმატებით კითხულობდა ლექციების კურსს დრეზდენის (გერმანია), ვენისა (ავსტრია) და ჯორჯიის (აშშ) უნივერსიტეტებში.

აკადემიკოსი თენგიზ ურუშაძე იყო საქართველოს ნიადაგმცოდნეთა აღიარებული ლიდერი, ღრმა და ყოვლისმომცველი კვლევების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, მეცნიერთა ახალი თაობების აღმზრდელი. ბოლო 40 წლის განმავლობაში თითქმის ყველა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია ნიადაგმცოდნეობაში შესრულებული იყო მისი ხელმძღვანელობით.

აკადემიკოს თენგიზ ურუშაძის სამეცნიერო ინტერესები ძირითადად უკავშირდებოდა საქართველოს (არა მარტო საქართველოს) ნიადაგებს. მის მიერ დასაბუთებულია რამდენიმე სრულიად ახალი, ორიგინალური ნიადაგური ტიპის გამოყოფა, რომელიც შეტანილია ნიადაგმცოდნეობის სახელმძღვანელოებში (საქართველო, რუსეთი, პოლონეთი). 1991 წელს მონოგრაფიისათვის „სსრკ მთის ნიადაგები“ მიენიჭა ვ. ვილიამსის სახელობის პრემია (რუსეთი). მისი რედაქტორობით გამოიცა საქართველოს ნიადაგების რუკა, რისთვისაც ავტორთა კოლექტივთან ერთად 2002 წელს დაჯილდოვდა საქართველოს სახელმწიფო პრემიით მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წარმატებები და აღიარება საერთაშორისო მეცნიერულ ასპერეზზე. სხვადასხვა დროს ბატონი თენგიზი არჩეული იყო ნიადაგმცოდნეობათა საერთაშორისო კავშირის V კომისიის პირველ ვიცე-პრეზიდენტად, აზერბაიჯანის სახელმწიფო აკადემიის საპატიო დოქტორად, ესპანეთის (ბარსელონა) მეცნიერებისა და ხელოვნების ეროვნული (სამეფო) აკადემიის და ესპანეთის (კატალონიის) ვეტერინალურ მეცნიერებათა აკადემიის წევრად, ეკოლოგიისა და სიცოცხლისუნარიანობის უსაფრთხოების საერთაშორისო აკადემიის (რუსეთი) ნამდვილ წევრად, იუნესკოს პროგრამა „ადამიანი და ბიოსფერო“ ვიცე-პრეზიდენტად, საერთაშორისო ეკოლოგიური აკადემიის წევრად, სომხეთის სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად და სხვ., კულმინაცია იყო 2018 წელი, როცა ის ნიადაგმცოდნეთა მსოფლიო კონგრესზე აირჩიეს მსოფლიო ნიადაგმცოდნეთა საზოგადოების საპატიო წევრად.

ჭეშმარიტად შეუფასებელია სამაგალითო პიროვნებისა და მეცნიერის, აკად. თენგიზ ურუშაძის ღვაწლი თანამედროვე აგრარული მეცნიერების განვითარების საქმეში. ძნელი გადმოსაცემია ის გულისტკივილი, რასაც დღეს განვიცდით ამ დიდი ადამიანის, შესანიშნავი მეგობრის და ბრწყინვალე მასწავლებლის იმქვეყნად წასვლის გამო. გამორჩეული მეცნიერი და პედაგოგი, მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე პიროვნება — ასეთად იცნობდნენ აკადემიკოს თენგიზ ურუშაძეს და ასეთად დარჩება იგი იმ ადამიანთა ხსოვნაში, ვისაც კი ოდესმე მასთან ურთიერთობა ჰქონია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, მრავალი თაობების აღმზრდელი, აკადემიკოსი

თენგიზ (გიზო) ურუშაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საუ-ს მ. საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტის დირექტორი, ვ. ვილიამსის სახ. პრემიის ლაურეატი

თენგიზ (გიზო) ურუშაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



ლალი ჩხეიძე და გივი ჯაფარიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, უკეთილშობილესი ადამიანის, აკადემიკოს

თენგიზ (გიზო) ურუშაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

რევაზ და ირაკლი ჩაგელიშვილები ოჯახებით დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ მეგობარი, აკადემიკოსი

გიზო ურუშაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის მეუღლესა და ქალიშვილს.

ჩემს უფროს მეგობარს, უკეთილშობილეს პიროვნებას, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს ოთარ ხუციშვილს ვუსამძიმრებ შვილის

კობა ხუციშვილის

გარდაცვალების გამო. რით განუგეშო ჩემო ძვირფასო ადამიანო ერთადერთი ვაჟკაცის გარდაცვალების შემდეგ. ეს აუნაზღაურებელი ტკივილია არამარტო შენი ოჯახისთვის, არამედ ჩვენთვისაც.

პაგივისცემითა და
სიყვარულით
მალხაზ დოლიძე

მედეა, ქეთევან, დალი, ბადრი ბარკალაიები ოჯახებით იუწყებიან უახლოესი მეგობრისა და კარის მეზობლის, უკეთილშობილესი პიროვნების

იზაბელა ცომაია-პერტაიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

ნოდარ თოფურია და მანანა ფურცელაძე ოჯახით დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ოჯახის უახლოესი პიროვნება, უსათნოესი ქალბატონი

მზია დიომიდეს ასული გაბისონია-თოფურია

და გულითად სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის მეუღლეს — იუზა თოფურიას, შვილს — თამუნა თოფურიას, ქალბატონი მზიას ოჯახის უახლოეს ნათესავებსა და ახლობლებს.

ნათია ფოფხაძე

საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა დაკარგა გამორჩეულად კარგი ადამიანი და პროფესიონალი, ახალგაზრდა მკვლევარი, აკადემიური დოქტორი **ნათია ფოფხაძე**, რომელიც უკურნებელი სენით გარდაიცვალა.

ქალბატონი ნათია ფოფხაძე წლების განმავლობაში თავდადებით და ერთგულად ემსახურებოდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, მის სახელოვან ტრადიციებს.

იგი დაიბადა 1969 წლის 26 იანვარს ქ. ბათუმში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1993 წელს ინჟინერ-ელექტრიკოსის კვალიფიკაციით.

2007-2014 წწ. მუშაობდა პ/გ „ქართულ დასში“ სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. 2015 წლიდან დღემდე კი — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე, სადაც გაიარა სამეცნიერო-პედაგოგიური ზრდის ყველა საფეხური. ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე ქალბატონმა ნათიამ მთელი თავისი ცოდნა, ენერგია თავდაუზოგავად მოახმარა მშობლიურ უნივერსიტეტს. იყო პასუხისმგებლიანი და უაღრესად კომპეტენტური ადამიანი.

ქალბატონი ნათია მის ახლობლებს, მეგობრებსა და კოლეგებს დაამახსოვრდებათ როგორც თავისი საქმის უზადო პროფესიონალი, უაღრესად თბილი და კეთილშობილი ადამიანი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტისთვის ნათიასნაირი პროფესიონალისა და მეგობრის დაკარგვა დიდი ტრაგედიაა.

ღიმილიანი, ადამიანის დახმარების სურვილით მუდამ ანთებული, მოსიყვარულე, უღალატო, ერთგული, ასეთი დაამახსოვრდებათ იგი მის კოლეგებს, სტუდენტებს, თანამშრომლებს, ახლობლებს, ოჯახის წევრებსა თუ მეგობრებს, ვისთვისაც ქალბატონ ნათიას არასოდეს დაუშურებია სითბო და სიყვარული, რითაც იგი ყოველთვის გამოირჩეოდა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ქალბატონი ნათიას უკვდავი სული, ვალმოხდილი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ზაალ (ნუკრი) გამყრელიძე

ბოლოს ღვინობისთვის დასაწყისში შევხვდით ერთმანეთს, როცა ონში რაიონის ღირსეულ შვილს ვეთხოვებოდით. რას წარმოვიდგენდი, რომ მალე ვერაგი კოვიდვირუსი სამუდამოდ გამოგვაცლიდა ხელიდან 77 წლის დიდებულ ვაჟკაცს.

ნუკრი გამყრელიძე რაჭველთა ჭეშმარიტი ჭირისუფალი და ლხინის გამზიარებელი გახლდათ, ამიტომაც გვიმძიმს მასთან ასე მოულოდნელი გამოთხოვება.

ბანკის მმართველისა და ფინანსთა განყოფილების გამგის ნიკოლოზ გამყრელიძისა და სამშობიაროს დირექტორის მარი ნაკანის ვაჟი ახალგაზრდობაშივე ძმის, ხოლო მოგვიანებით ვაჟის დაკარგვას მოესწრო, მაგრამ ასეთი ცხოვრებისეული ტრაგედიების მიუხედავად მოწოდების ერთგულად დარჩა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ სცენა დაეხმარა, ვაჟკაცურად გამკლავებოდა პიროვნულ დარდსა და ვაებას...

იგი საქართველოს სახალხო არტისტის — გიგა ჯაფარიძის თეატრალურ სტუდიასა და დასში დაფრთიანდა, სადაც, ჩეხოვის „თოლიათი“ დაწყებული, მთელ რიგ სპექტაკლებში შექმნა დაუვიწყარი სახეები, რომლებიც გარდასახვის დიდი უნარით გამოარჩევდა ამ დამსახურებულ არტისტს.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია დიმიტრი ლობჟანიძის პიესა „ზვიადა“, რომელიც ღებელთათვის სახალხო გმირადაა მიჩნეული და მთის რაჭის ამბავს წარმოადგენს.

იგივე შეიძლება ითქვას ბატონი გიგას მიერ დადგმული კიდევ ერთი — ალექსანდრე ყაზბეგის ისტორიული დრამის „ქეთევან წამებულის“ შესახებ, რომელიც მხარის ორივე რაიონის შემოქმედებითი რესურსების ერთობლივი ძალისხმევითა და დიდი წარმატებით განხორციელდა.

ასევე ნაყოფიერად მოღვაწეობდა ბატონი ნუკრი რუსთავის თეატრში, სადაც მისი დაარსებიდანვე განაგრძო დაუვიწყარი პერსონაჟების გამოძერწვა („თეთრი ბაირაღები“, „თამაში სხვათა საწოლებში“).

ნათელი და სანთელი, ოსტატო!

გია პლატონიშვილი

რევაზ არველაძე და თამაზ აბესაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი მეგობრის

მიხეილ გვერდწითელის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ამირან გამყრელიძე: ამ მძიმე ციფრებს მხოლოდ აცრები შეაკავებს!

უნდა გავითავისოთ და შევიგნოთ ყველამ, რომ ამ მძიმე ციფრებს მხოლოდ და მხოლოდ აცრები შეაკავებს!

„1 600 მძიმე ავადმყოფი წევს კლინიკებში, 7 000-მდეა უკვე კლინიკების დატვირთვა, მაქსიმუმზე გადის. სამწუხაროდ, 350-ზე მეტი ადამიანია ხელოვნურ ვენტილაციაზე, ეს ყველაფერი მიუთითებს ეპიდსიტუაციის რთულ მდგომარეობაზე... მომავალ კვირაში შეიძლება იყოს ოდნავ შემცირების ტენდენცია, მაგრამ ქვემოთ ნახტომი, რაც გვინდა, სამწუხაროდ არ იქნება!..

რამდენი ადამიანი აიცრა კოვიდვაქცინით საქართველოში?!

Stopcov-ზე გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, ბოლო 24 საათის განმავლობაში საქართველოში კორონავირუსის საწინააღმდეგო აცრა 4 946-მა ადამიანმა გაიკეთა. სულ ქვეყანაში 2 046 362 აცრა გაკეთდა. ამ დროისთვის საქართველოში კორონავირუსის 784 091 შემთხვევაა დადასტურებული. მათ შორის გამოჯანმრთელდა 716 382, გარდაიცვალა 10 975 პაციენტი.

კორპუსი აფეთქებას გადაურჩა!

„თბილისი ენერჯის“ განცხადებით, თბილისში ერთი საცხოვრებელი კორპუსი აფეთქებას გადაურჩა. კომპანია მოსახლეობას მოუწოდებს, უარი თქვით ღია წვის კამერიან დანადგარებზე. მათივე ინფორმაციით, „თბილისიენერჯის“ სპეციალისტები პერიოდულად ამოწმებენ საცხოვრებელ ბინებს, ხსნიან ამ დანადგარებს ქსელიდან და აფრთხილებენ აბონენტებს, თუმცა მათი ნაწილი თვითნებურად აერთებს ჩახსნილ დანადგარებს და არ ითვალისწინებს მკაცრ გაფრთხილებას.

საპროტესტო აქციები ლოკდაუნის გამოცხადების გამო

ნიდერლანდებში ნაწილობრივი ლოკდაუნის გამოცხადების გამო, საპროტესტო აქციები გაიმართა. საპროტესტო მსვლელობა ქალაქ ჰაagაში გაიმართა. ადგილობრივმა პოლიციამ აქციის მონაწილეების დასაშლელად წყლის ჭავლი გამოიყენა. პოლიციის ინფორმაციით, დემონსტრანტების ნაწილმა მათი მიმართულებით ქვები და მანათობელი ყუმბარები ისროლა.

ნიდერლანდების პრემიერმა ქვეყანაში გართულებული ეპიდვითარების გამო, ნაწილობრივი ლოკდაუნის გამოცხადების გადაწყვეტილება მიიღო. ქვეყანაში სამი კვირის განმავლობაში სუპერმარკეტები, კაფეები და რესტორნები 20:00 საათამდე იმუშავებენ. პროფესიონალური და სამოყვარულო სპორტული ღონისძიებები მაყურებლის გარეშე ჩატარდება, ხოლო სამორინეები, საუნები და სალონები 18:00 საათამდე იმუშავებენ. გარდა ამისა, აკრძალული იქნება სახლში 13 წელს ზემოთ ასაკის ოთხ სტუმარზე მეტის მიღება.

მთავრობის გადაწყვეტილებით, სამი კვირის განმავლობაში სამსახურების უმეტესობას მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა მოუწევს.

გახსენება

მანანა გაჩეჩილაძე

ჩემო სიკეთით სავსე, უღალატო, დიდი გულის მქონე, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელო საყვარელო დაო მანანა, რა სწრაფად გავიდა 40 დღე, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ. უშენოდ ტირის სანთელიც და იღვენთება. მე სიკვდილს გადამარჩინე, შენ კი ვერ გიშველე. მუხთალმა წუთისოფელმა მაშინ წაგვართვა შენი თავი, როდესაც ყველაზე მეტად გინდოდა სიცოცხლე. ყველას გვენატრები და გვაკლიხარ. ჩვენ შევხვდებით იმქვეყნად ერთმანეთს და იქაც გაგრძელდება ჩვენი სულიერი ცხოვრება. მე სიმარტოვისთვის ვარ განწირული და სულის ტკივილს ვგრძნობ. რა მწარეა მწუხარებით გამოწვეული დღევანდელი რეალობა. შენი იმედი მქონდა, ახლა მარტო დამტოვე. ბავშვობიდან სულ წვალებასა და შრომაში ვიყავი, მარტო უმკლავდებოდი ცხოვრების სიძნელეებს. როგორც შეგეძლო, ყველა, ეხმარებოდი სიტყვით თუ საქმით. მეგობრებისთვის თავდადებული იყავი. შენი ახლობლებისა და მეგობრების ცხოვრებით ცხოვრობდი, საკუთარი ცხოვრება კი ვერ ააწყვე. პირველი ოპერაციის შემდეგ უფალმა 20 წელი მაჩუქა, საყვედური არ მეთქმისო. ერთი თვე საჭმელი არ გიჭამია, მხოლოდ წყალს სვამდი. თავი შეგნებულად უფალს მიუძღვენი. ტკივილებისგან მხოლოდ შუბლს შეიკრავდი და ერთს არ დაიკვნესებდი. ვაჟკაცურად ხვდებოდი მომავალს. იცოდი, რაც გელოდა. გადასხმებზე უარი თქვი, წვალება რატომ გავიხანგრძლივოო. მხოლოდ ერთხელ წამოგცდა „უფალო მალე წამიყვანეო“. ყველა საქმე მოაგვარე, ყველას სწორი გზა უჩვენე, ყველა დალოცე და ისე წახვედი. მე უშენოდ ვიტანჯები, მაგრამ განგებამ ასე ინება. შენ ცათა სასუფეველში გადახვედი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული. მშვიდად განისვენე და გწამდეს, რომ შენი ნათესავები, ახლობლები და მეგობრები შენთვის ილოცებენ და არასოდეს დაგივიწყებენ.

მსუბუქი იყოს შენთვის შენი მშობლიური მიწა

შენი გულდამწვარი და ნელი

განცხადება

2021 წლის 15 დეკემბერს, დილის 10 საათზე დანიშნულია ს/ს თბილისის „ცენტროლიტი“-ს აქციონერთა საერთო კრება

დღის წესრიგი:

1. 2020 წლის ანგარიში;
2. დივიდენდების გაცემა;
3. სხვადასხვა.

სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 15 ნოემბერი.

მისამართი: ელ. ანდრონიკაშვილის ქ. №29.

ადმინისტრაცია

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VIII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

ᲯᲘᲚᲓᲝ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲔᲕᲘᲚᲘᲘᲡ საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესო ოპერატორის ჯილდო გადაეცა ფარაზ ფეშარაკის ფილმისთვის „რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ?“, — ინფორმაციას საქართველოს ეროვნული კინოცენტრი ავრცელებს.

ალექსანდრე კობერიძის ფილმი „რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ“ საქართველო-გერმანიის კინო-პროდუქციაა. ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ გიორგი ბოჭორიშვილი, ანა ქარსელაძე, ოლიკო ბარბაქაძე, გიორგი ამბროლაძე და ვახტანგ ფანჩულიძე.

„ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲑᲠᲐᲘᲢᲝᲜᲘ“ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ!

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲝᲚᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“, ლოს-ანჯელესში, აზიური ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალზე მთავარი ჯილდოს მფლობელი გახდა, — ინფორმაციას ეროვნული კინოცენტრი ავრცელებს.

ლევან კოღუაშვილის ფილმის ძირითადი ნაწილი გადაღებულია ნიუიორკში, ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით. ფილმი საქართველოს, ბულგარეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის კინოპროდუქციაა. „მეოთხე ბრაიტონის“ ერთ-ერთი თანაპროდიუსერია საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, ხოლო თანადამფინანსებელი — საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“. ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ ამერიკის კინოაკადემიის 2022 წლის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის საქართველოს სახელით იბრძოლებს.

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲜᲘᲜᲘᲫᲔ — ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐᲨᲘ Asia Pacific Screen Awards-ის დაჯილდოვების საზეიმო ცერემონია ონლაინ გაიმართა, სადაც საუკეთესო მამაკაცი მსახიობის ჯილდო გადაეცა მერაბ ნინიძეს ალექსეი გერმანის (უმცროსის) ფილმში House Arrest შესრულებული მთავარი როლისთვის.

ამავე ნომინაციაში წარდგენილი იყო ლევან თედიაშვილი (ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“, რეჟისორი ლევან კოღუაშვილი). ცერემონიის მსვლელობისას რეჟისორმა დეა კულუმბეგაშვილმა APSA Academy Film Fund-ის გრანტი მიიღო თავისი მომავალი ფილმის პროექტისთვის **Historia**.

ABBA ᲙᲕᲚᲐᲕ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ

ᲨᲕᲔᲓᲣᲠᲘ მუსიკალური ჯგუფ ABBA-ს ახალი ალბომი Voyage ბრიტანული მუსიკალური ჩარტის პირველ ადგილზეა. ბოლო 40 წლის განმავლობაში შვედური ჯგუფის პირველი ალბომი 5 ნოემბერს გამოვიდა და ერთი კვირის განმავლობაში დიდ ბრიტანეთში მისი 204 ათასი ასლი გაიყიდა. ამ მაჩვენებლით Voyage-მა მიმდინარე წლის რეკორდი დაამყარა, მისი გაყიდვების სტარტი კი 2017 წლის მარტის შემდეგ ყველაზე წარმატებული გახდა.

Voyage-ი ABBA-ს რიგით მეათე ალბომია, რომელიც ჩარტის სათავეში აღმოჩნდა, სულ კი ბრიტანეთის რეიტინგის პირველ საფეხურზე გატარებული კვირების რაოდენობით (58) ABBA-მ მესამე ადგილზე გადაინაცვლა და მხოლოდ ელვის პრესლისა და The Beatles-ს ჩამორჩება.



ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲥᲐᲯᲐᲘᲐ „ᲠᲐᲜᲘᲜᲐᲡ“ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ

„ᲠᲐᲜᲘᲜᲐᲡ“ მეოთხე სეზონის გამარჯვებული ნიკოლოზ ქაჯაია გახდა. პროექტში გამარჯვებით მომღერალმა საბავშვო ევროვიზიის საგზური მოიპოვა და სწორედ ის გახდა საქართველოს ხმა ყველაზე მასშტაბურ საბავშვო მუსიკალურ კონკურსზე. რიგით მე-19 საბავშვო ევროვიზია, რომელშიც 19 ქვეყანა მონაწილეობს და რომელსაც პარიზი მასპინძლობს, 19 დეკემბერს გაიმართება. ტრადიციულად პირდაპირ ტრანსლაციას საფრანგეთიდან საქართველოს პირველი არხი განახორციელებს.

უკვე მეოთხე წელია, საბავშვო ევროვიზიაზე ქართველი კონკურსანტის შერჩევა, საქართველოს პირველი არხის პროექტ „რანინას“მეშვეობით ხდება. პროფესიონალი ჟიური არჩევანს საუკეთესოთა შორის საუკეთესოზე რამდენიმე საკონკურსო ტურის შემდეგ ადგენს. „რანინას“ მეოთხე სეზონის გამარჯვებული სამ ფინალისტს შორის გამოვლინდა, მათ შორის იყვნენ ბარბარე მახათაძე და გეგა შონია.

10 წლის ნიკოლოზ ქაჯაია ბავშვობიდან გატაცებულია მუსიკით და სიმღერით. სხვადასხვა წლებში სწავლობდა ვოკალის სასწავლებლებში, მათ შორის აღსანიშნავია „ვოკალის აკადემია“. მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა სატელევიზიო შოუებსა და კონცერტებში. 2020 წელს ჩაირიცხა თბილისის ევგენი მიქელაძის სახელობის მეორე ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში, საფორტეპიანო განყოფილებაზე. მუსიკის გარდა ნიკოლოზი გატაცებულია ძერწვით და ხატვით. საქართველო საბავშვო ევროვიზიაზე 2017 წლიდან მონაწილეობს.

100 ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ Time-მა 2021 წლის 100 საუკეთესო გამოგონება დაასახელა. სიაში მოხვდა მოწყობილობები და ნივთები, „რომლებსაც ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესება, გამარტივება ან გამრავალფეროვნება შეუძლიათ“.

წელს გამოგონებები 27 კატეგორიად დაიყო, მათ შორის არის „სილამაზე“, „აპლიკაციები“, „ხელმისაწვდომობა“, „დიზაინი“, „განათლება“, „გართობა“, „ჯანმრთელობა“ და სხვ. გამოგონებებს შორის მოხვდა მალარიის საწინააღმდეგო ვაქცინა, რომელიც ჯანმომ მიმდინარე წლის ოქტომბერში დაამტკიცა; Apple M1-ის პროცესორი, გადამუშავებული ბოთლებისგან დამზადებული Lego; ტექსტის გახმოვანების მოწყობილობა და ა.შ.

ᲔᲒᲕᲘᲠᲢᲔᲨᲘ ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲙᲑᲘᲜᲔᲡ

ᲔᲒᲕᲘᲠᲢᲘᲡ ქალაქ ასუანში მორიელებმა 450-მდე ადამიანს უკბინეს. ძლიერი შხამის ორგანიზში მოხვედრის შემდეგ, 3 ადამიანი გარდაიცვალა. მომხდარს წინ ძლიერი წვიმა უძღოდა, რის შემდეგაც, მორიელები ქუჩებსა და სახლებში აღმოჩნდნენ. ეგვიპტის ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, სამედიცინო ცენტრებს შხამის საწინააღმდეგო დამატებითი დოზები გადაეცათ. ექიმები მოსახლეობას სახლში დარჩენისკენ და ისეთი ადგილებისგან თავის არიდებისკენ მოუწოდებენ, სადაც ბევრი ხეა.

ეგვიპტეში გარცელებული მორიელების სახეობა (Androctonus) ერთ-ერთი საშიში და ძლიერი შხამის მქონეა. დაკბენის შემთხვევაში, ვლინდება სიმპტომები: სუნთქვის გაძნელება, კრუნჩხვა და თავის უჩვეულო მოძრაობა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
ე. ბაღდავაძის №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 17 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:

ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.1493; ᲔᲕᲠᲝ - 3.6044;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.2182;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.3610; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.3173;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.8508;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.6231.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 15 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+2,	ᲓᲦᲔ	+16
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	-2,	ᲓᲦᲔ	+15

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+7,	ᲓᲦᲔ	+18
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+1,	ᲓᲦᲔ	+16
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+5,	ᲓᲦᲔ	+15

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge